ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ ჯაიანი

დასაქმებული მშობლების დროის მენეჯმენტი და შვილებთან კომუნიკაცია

სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: იაგო კაჭკაჭიშვილი, პროფესორი

თბილისი, 2019

აბსტრაქტი

დასაქმებული მშობლების დროის მენეჯმენტი და შვილებთან კომუნიკაცია

დღესდღეობით ცხოვრების ტემპი საგრძნობლად აჩქარებულია და შესაბამისად დასაქმებულ ადამიანებს უმეტესი დროის გატარებს უწევთ სახლის გარეთ, სამუშაო ლოკაციებზე. ბუნებრივია, უფრო მეტად დატვირთული და სტრესულია მშობლების ყოველდღიურობა - მათ ხომ ორ ფრონტზე უწევთ „ბრძოლა“, ოჯახსა და სამსახურში. არსებობს დავები, იმის შესახებ, თუ როგორ ჯობია ბავშვისთვის თავისუფალი დროის გატარება - სახლში მყოფ, დაუსაქმებელ, ემოციურად გაღიზიანებულ მშობელთან, თუ დასაქმებულ, რეალიზებულ მშობელთან მცირე დროის, თუმცა პროდუქტიულად გატარება.

იქედან გამომდინარე, რომ სამუშაო ძალაში ბოლო წლების განმავლობაში უფრო და უფრო მეტი ქალბატონი ერთვება და იმატებს იმ ოჯახთა რაოდენობა, სადაც ორივე მშობელი დასაქმებულია, აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალურია - საინტერესოა თუ როგორ ახერხებენ მშობლები ბავშვთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას და რთული, რუტინული დღის შემდეგ შვილებთან კომუნიკაციას, დროის დეფიციტის „შევსებას“ და დაბალანსებას.

აღნიშნული კვლევის მიზანია შევისწავლოთ დასაქმებული მშობლების ურთიერთობა მათი შვილების მიმართ, გავიგოთ ბავშვებისთვის გამოყოფილი დროის ოდენობა და კომუნიკაციის ხარისხი. ვისაუბროთ მშობლების დროის მენეჯმენტის შესახებ - როგორ ხერხდება ბავშვებისთვის საჭირო დროის გამოყოფა და მისი პროდუქტიული ათვისება. შეფასდება მშობლების დამოკიდებულებები იმის მიმართ, თუ როგორ ხედავენ ისინი შვილებთან გატარებული დროს, როგორია მათი განწყობა და მათი შეფასება - განიცდიან თუ არა მათი შვილები მშობლებთან კომუნიკაციის ნაკლებობას. ამ ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ როგორ ახერხებენ მშობლები საოჯახო საქმეების დამენეჯმენტებას აღნიშნული ფონის გათვალისწინებით.

იქედან გამომდინარე, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტები მუშაობენ სრული განაკვეთით, კვირაში 40 საათის განმავლობაში, ბავშვები ამ დრომდე იმყოფებიან ბაღში/სკოლაში/ძიძასთან. რამდენიმე მშობელმა საუბრისას ახსენა, რომ საჯარო სკოლა/ბაღების სამუშაო საათები ნაკლებად მოსახერხებელია მათთვის, ვინაიდან მათი სამუშაო დროის დასრულებამდე რამდენიმე საათით ადრე მთავრდება. ასეთ შემთხვევებში, მათ უწევთ დახმარების თხოვნა ოჯახის წევრებისთვის, ისეთი ადამიანის დაქირავება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბავშვის ბაღიდან/სკოლიდან გამოყვანაზე და მათი საჭიროებების უზრუნველყოფაზე, სანამ ერთ-ერთი მშობელი მაინც არ მივა სახლში.

ყოველდღიური სამუშაო რუტინის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, როგორც მშობლებმა აღნიშნეს, ბავშვთან ატარებენ 3-4 საათს, რაშიც შედის ბაღში/სკოლაში წაყვანა, გამოყვანა, საოჯახო საქმეები და ბავშვების მომზადება დასაძინებლად. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბავშვთან გატარებულმა დრომ, იგულისხმება მხოლოდ მათთვის დათმობილი პროდუქტიული დრო, შეიძლება შეადგინოს მხოლოდ 20-30 წუთი. თუმცა, ამ დანაკლისის ანაზღაურება ხდება შაბათ-კვირას, როცა მშობლების თქმით, მთელი დრო, ენერგია და რესურსი მხოლოდ ბავშვებს ხმარდება.

მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებული მშობლები აღიარებენ შვილებთან გატარებული დროის ხანგრძლივობის სიმცირეს, მათი გადმოცემით, ცდილობენ ამ გატარებულ დროს ქონდეს კონკრეტული შედეგი, რაც მოიაზრებს არა მხოლოდ კონკრეტულ სათამაშო/საგანმანათლებლო აქტივობებს, არამედ აღზრდის ელემენტების შესახებ საუბარს. მშობლები ერთხმად აღიარებენ, რომ პირველ რიგში სურთ შვილებს ასწავლონ ჯანსაღი ურთიერთობები.

Abstract

The Time Management of Employed Parents and Communication with Their Children

Nowadays, the pace of life has been significantly accelerated and people who are employed have to spend most of their time out of home, at their work places. The daily routine of employed parents is more loaded and stressful, because of their attempts to balance job and family. There are disputes on what is better for a child – to be with an unemployed, emotionally disturbed parent, or to spend a little, but productive time with a successful one.

Due to the fact that in recent years, more and more women have joined the labor force and the number of families with both parents employed has increased, this topic becomes quite popular – it is interesting how employed parents manage the issues related to their children and communicate with them to balance and compensate the lack of time after a busy day.

The purpose of the research is to study relationships, time spent together and communication quality of children and their parents. The time management of parents will be discussed – how it is possible to allocate time for children and spend it productively. The attitudes of parents on leisure time with children and lack of communication will also be assessed. Besides, it is important to know how employed parents manage the house work considering all above-mentioned factors.

As the respondents enrolled in the research work full time (40 hours a week), children stay at kindergarten/school or with babysitter. Some of the parents underlined that the working hours of state kindergartens/schools are not flexible, as they are not in line with their working schedule. In such cases, they are forced to ask their family member for help or hire a person who will be responsible for the children until a parent gets home.

Parents say that before/after a working routine they have approximately 3-4 hours to spend with their children and the mentioned period includes trips to kindergarten/school, housework and children's bedtime. Therefore, the time spent only with children is just 20-30 minutes, but it is balanced on weekends. As parents say the whole day, energy and resources are dedicated to children on weekends.

Even though parents underline the lack of time spent with their children, they try to make their communication productive, which implies not only entertainment and educational activities, but also talking about upbringing issues. Parents unanimously admit that most of all they wish to teach their children healthy relationships.

სარჩევი

შესავალი ..... - 1 -

ლიტერატურის მიმოხილვა ..... - 3 -

ქართველი ნეიროფსიქოლოგი - თამარ გაგოშიძე დასაქმებული მშობლებისა და მათი შვილების ურთიერთობის შესახებ ..... - 14 -

მშობლის დასაქმების სტატუსის პოზიტიური ეფექტი ბავშვთან მიმართებაში ..... - 17 -

მშობლის დასაქმების სტატუსის ნეგატიური ეფექტი ბავშვთან მიმართებაში ..... - 18 -

დასაქმებული მშობლების სამუშაო პირობები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ ..... - 19 -

კვლევის მეთოდოლოგია ..... - 26 -

კვლევის მიზნები და ამოცანები ..... - 26 -

საკვლევი კითხვები და ამოცანები ..... - 27 -

ცნებების ოპერაციონალიზაცია ..... - 27 -

კვლევის დიზაინი ..... - 28 -

კვლევის შედეგები ..... - 29 -

ინტერვიუ ფსიქოლოგთან ..... - 30 -

ჯგუფური ინტერვიუ ..... - 35 -

დასკვნები ..... - 42 -

გამოყენებული ლიტერატურა ..... - 46 -

დანართი 1 - ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო ..... - 48 -

დანართი 2 - სატიტულო ფურცელი ინგლისურ ენაზე ..... - 51 -

შესავალი

დღესდღეობით, ცხოვრების ტემპი საგრძნობლად აჩქარებულია და, შესაბამისად, დასაქმებულ ადამიანებს უმეტესი დროის გატარებს უწევთ სახლის გარეთ, სამუშაო ლოკაციებზე.

ალბათ, ყველას გვსმენია უფროსი თაობის შეფასებები დღევანდელობასა და ახალგაზრდებთან დაკავშირებით - მათ უკვირთ როგორ შეიძლება გავიდეს კვირა ისე, რომ არ მოინახულონ ახლო ნათესავები - აღნიშნული ძველი დროისგან შემორჩენილი ტრადიციაა. სწორედ სწრაფი ტემპის, რთული და დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო, ხშირად ადამიანები სათანადო ყურადღებას ვერ იჩენენ ოჯახის წევრებისა და მეგობრების მიმართ.

ბუნებრივია, უფრო მეტად დატვირთული და სტრესულია მშობლების ყოველდღიურობა - მათ ხომ ორ ფრონტზე უწევთ „ბრძოლა“, ოჯახსა და სამსახურში. მიჩნეულია და ამ ფაქტს თავად მშობლებიც ეთანხმებიან, რომ ბავშვი მშობლის მსგავსად ვერ ატარებს დროს სხვა პიროვნებასთან. არსებობს დავაა იმის შესახებ, თუ როგორ ჯობია ბავშვისთვის თავისუფალი დროის გატარება - სახლში მყოფ, დაუსაქმებელ, ემოციურად გაღიზიანებულ მშობელთან, თუ დასაქმებულ, რეალიზებულ მშობელთან მცირე დროის, თუმცა პროდუქტიულად გატარება. რა უფრო მნიშვნელობს - ბევრი დრო, მრავალი საათი არაპროდუქტიულად ყოფნა, თუ მცირე დროის, თუმცა პროდუქტიული ათვისება.

დღესდღეობით, თანამედროვე ოჯახებში, სადაც წყვილები მათი მშობლებისგან განცალკევებით ცხოვრობენ და ჰყავთ შვილები, უპირატესობას ანიჭებენ კერძო ბაღებსა თუ სკოლებს, გამომდინარე იქედან, რომ ეს დაწესებულებები სთავაზობენ მათ გახანგრძლივებულ მომსახურებას: კერძო ბაღების შემთხვევაში გვიანობამდე ბავშვების მეთვალყურეობა, ხოლო კერძო სკოლის შემთხვევაში - გაკვეთილების შემდგომ დამატებითი აქტივობები, სპორტი და აშ.

საქართველოში ბევრი დამსაქმებელი შაბათ დღეს ე.წ „მოკლე სამუშაო დღით“ მუშაობს. ამ შემთხვევაში მშობლებს კიდევ უფრო ცოტა დრო აქვთ ბავშვებთან საკომუნიკაციოდ, ამ ყველაფერს ემატება საოჯახი საქმეები და მათი გადანაწილება წყვილს შორის. ასეთი ცხოვრების ტემპის პარალელურად, საინტერესოა მათ მიერ ოჯახში, ბავშვთან გატარებული დროის და მისი პროდუქტიულობის შეფასება.

დროის მენეჯმენტი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თანამედროვე მსოფლიოსთვის. დრო ნებისმიერი ადამიანის ძირითადი რესურსია. დროის მენეჯმენტი, რაც გულისხმობს დროის სწორ მართვას, ასწავლის ადამიანებს მის ეკონომიას და რაციონალურად გადანაწილების გზებს/საშუალებებს. მათი დაუფლებით, ადამიანებს შეუძლიათ ბევრად ეფექტურონ მართონ დრო. (მანანა ხარხელი, 2016)

კომუნიკაცია გულისხმობს მინიმუმ ორ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლას და მას ყოველთვის აქვს კონკრეტული მიზანი. ნებისმიერი ურთიერთობის მსგავსად, იგი წრიული ხასიათისაა. ერთი ადამიანი გადასცემს გარკვეულ ინფორმაციას მეორეს, ეს უკანასკნელი იძლევა პასუხს, ხოლო ინფორმაციის გადამცემი აგებს თავის მომდევნო კომუნიკაციას. კომუნიკაცია მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რა ინფორმაცია გადასცა ერთმა მხარემ, არამედ იმაზეც, თუ როგორ გაიგო და შეაფასა ეს გზავნილი მეორე/მიმღებმა მხარემ. (თავი 1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა მომსახურების სფეროს პროფესიებისთვის)

ადამიანები ერთმანეთთან სხვადასხვა სახის კომუნიკაციას ამყარებენ - როგორებიცაა: დედა-შვილს, თანამშრომლებს, კლიენტსა და მომსახურების გამწევ ინდივიდს შორის და ა.შ. ასეთი დამოკიდებულების გარდა ურთიერთობები ერთმანეთისაგან სიღრმის ხარისხითაც განსხვავდებიან. (თავი 1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა მომსახურების სფეროს პროფესიებისთვის) სწორედ ერთ-ერთი ზემოთხსენებული კომუნიკაციის ფორმაზე (შვილები და მშობლები) ფოკუსირდება აღნიშნული კვლევა.

თანამედროვე დასაქმებული მშობლების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა შვილებისთვის დათმობილი დროის უკმარისობაა. დღის მანძილზე მშობელს და შვილს შესაძლოა საკომუნიკაციოს ქონდეთ 4-5 საათი. მრავალ შემთხვევაში, ბავშვებზე მეურვეობა სკოლის/ბაღის/აქტივობების შემდეგ შესაძლოა გადაინაწილონ ბებია-ბაბუებმა, ძიძებმა. თუმცა ეს გარემოებაც დღესდღეობით უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რაც სულაც შეიძლება არ იყოს ჩვეულებრივი ამბავი მთავარი ობიექტებისთვის - ბავშვებისთვის.

ლიტერატურის მიმოხილვა

მშობლების მიერ ბავშვებთან გატარებული დროის მნიშვნელოვნება, ბოლო წლების განმავლობაში, უფრო და უფრო აქტუალური გახდა. ის, რომ გასული წლების მსგავსად, მხოლოდ დედები არ არიან პასუხისმგებელნი ბავშვის აღზრდისა და შემეცნების ასპექტებში, ეს უკვე დიდი პროგრესია საზოგადოებისთვის.

აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურია როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მასალების ძიების პროცესში საკმაოდ ბევრ სტატიას, კვლევას თუ ინტერვიუს გადავწყდი, რაც მოწმობს ამ საკითხის მნიშვნელოვნებას. რამდენიმე მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას და ვისაუბრებ ნაშრომის ამ ნაწილში.

სოციუმში მიჩნეულია, რომ მშობლები მრავალ როლს ითავსებენ როგორც სამსახურებში, ასევე ოჯახში. ბავშვების აღზრდა მოითხოვს ინდივიდუალურ ზრუნვასა და ყურადღებას. მიუხედავად ტექნოლოგიური ინოვაციებისა, მშობლობას თან ახლავს დამატებით მრავალი ასპექტი „აუნაზღაურებადი სამუშაოსი“ - იგულისხმება ის ფიზიკური და/ან ინტელექტუალური სამუშაო, რასაც მშობლები უზრუნველყოფენ ოჯახებისთვის. (Williem Adema, 2016)

შრომითი და ოჯახური ვალდებულებების კრიტიკული თანხვედრა ხშირად ყველაზე მწვავე აღმოჩნდება, როდესაც ბავშვები ძალიან პატარები არიან. ჩვილები საჭიროებენ ინტენსიურ ზრუნვასა და საათობრივ რეჟიმს, რაც სამსახურთან კომბინაციაში ფაქტიურად წარმოუდგენელია. რაც უფრო იზრდება ბავშვი, იცვლება მშობლის მზრუნველობისა და პასუხისმგებლობების ბუნება, თუმცა შრომითი და ოჯახური ვალდებულებების თანხვედრა არც ამ შემთხვევაშია იოლი ფორმის (Williem Adema, 2016).

OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) წევრ ბევრ ქვეყანაში[1] მშობლები, რომელთაც ჰყავთ სასკოლო ასაკის ბავშვები, ამბობენ, რომ უპირატესობას ანიჭებენ ნაკლებად დატვირთულ სამუშაოს და მათ პრობლემა არ ექმნებათ სამსახურისა და ოჯახის კომბინირებითა და შეთავასებით (Williem Adema, 2016). ნორდიკული ქვეყნებში, განსაკუთრებით დანიაში, ნორვეგიაში, შვედეთსა და შვეიცარიაში იმ ახალგაზრდათა დაახლოებით 60%, რომელთაც ყავთ 0-17 წლამდე ბავშვი, აცხადებს, რომ აქვთ ანაზღაურებადი სამუშაო და ამით არ ექმნებათ დისკომფორტი ოჯახთან მიმართებაში. (Williem Adema, 2016)

OECD - ის ყველა ქვეყანაში, ქალებს უფრო მეტი არაანაზღაურებადი შრომის გაწევა უწევთ, ვიდრე მამაკაცებს. (OECD, 2016b) (Williem Adema, 2016) ამის მიზეზად, ხშირ შემთხვევაში, სახელდება ოჯახში ბავშვის „გამოჩენა“ და შესაბამისად, ქალს უწევს მნიშვნელოვნად დიდი წილი საოჯახო საქმიანობების შეთავსება, რაც მშობლობის თანმდევი ასპექტია. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, იტალიასა და კორეაში, დედები ასრულებენ 250-300 წუთის აუნაზღაურებად საქმეს დღეში, ვიდრე მამები. მსგავსს შედარებებში ინტერვალები გაცილებით მცირეა, მაგალითად, ნორვეგიის შემთხვევაში.

[1] (ორგანიზაციის წევრი ქვეყნებია: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, გაერთიანებული სამეფო, ესპანეთი,იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთიმ ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩილე, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ისრაელი, კორეა, მექსიკა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი)

აქვე ყურადღებას გავამახვილებ ქართულ წყაროებიდან ერთ-ერთზე. მოძიებულ იქნა კვლევა „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“, რომლის მიზანია კაცების დამოკიდებულებების გამოვლენა გენდერული თანასწორობის მიმართ, ასევე, მათი გამოცდილების/ ჩართულობის აღწერა საოჯახო საქმეებში. (იაგო კაჭკაჭიშვილი, 2014) აღნიშნული კვლევის ანგარიშიდან ყურადსაღებია რამდენიმე პუქტი, რაც რეალურად ერთ-ერთი მთავარი კითხვა იყო სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევისთვის, რესპონდენტების მიმართ.

კვლევა „კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში“ აჩვენებს, რომ საოჯახო საქმეების გადანაწილებასთან დაკავშირებით იკვეთება შემდეგნაირი სურათი: „ქალურ“ საქმეებად სახელდება ტანსაცმლის გარეცხვა, სახლის დალაგება, სახლში ჰიგიენური პირობების დაცვა, საჭმლის მომზადება და ბავშვების მოვლა. რაც შეეხება „მამაკაცურ“ საქმეს, ამ მიმართულებით დასახელდა საოჯახო/საყოფაცხოვრებო ნივთების შეკეთება. (იაგო კაჭკაჭიშვილი, 2014)

კვლევის შედეგების მიხედვით, კაცები ყველაზე მეტად ჩართულნი არიან შემდეგ საქმეებში: საოჯახო ნივთების შეკეთება (ამაზე საუბრობს კაცების 90% და ქალების 84%), გადასახადების გადახდა (ამაზე საუბრობს კაცების 84% და ხოლო ქალების 76%) და საჭმლის ყიდვა (კაცების 30% და ქალების 19%). რესპონდენტთა შეფასებით, კაცები გაცილებით ნაკლებად მონაწილეობენ სახლის დალაგებაში და საჭმლის მომზადებაში, ყველაზე ნაკლებად კი - ოჯახში ჰიგიენური ნორმების დაცვაში. ყურადსაღებია, რომ საოჯახო აქმეების გადანაწილების ამდაგვარი მოცემულობით კმაყოფილია კაცების 86% და ქალების 72%. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საოჯახო საქმეებში არათანაბარი გენდერული ჩართულობა სოციალურ-კულტურული მოცემულობაა, ე.წ სტანდარტია და ადაპტაციურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. (იაგო კაჭკაჭიშვილი, 2014)

მშობელი მამის მიერ შვილისთვის დათმობილი დრო ვარირებს ბავშვის ასაკის/მისი განვითარების ეტაპების მიხედვით. ბევრი მამა ნამდვილად ატარებს რამდენიმე დღეს ბავშვთან მისი ჩვილობის პერიოდში, თუმცა ეს დროც გაცილებით მცირეა, ვიდრე დედების შემთხვევაში. მამის მიერ შვილისადმი დათმობილი დრო ზოგიერთ ქვეყანაში ყოველდღიურად შეადგენს 100-125 წუთს, სკოლამდელი ასაკის შემთხვევაში (Williem Adema, 2016). დედების შემთხვევაში დროის ხანგრძლივობა მცირდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვი მიდის სკოლაში. თუმცა ეს მაჩვენებელი, როგორც აღინიშნა, სულ მცირედით განიცდის კლებას (დაახლოებით 30-45 წუთით დღეში).

მამაკაცები ჩართულობაზე ბავშვთა აღზრდის პროცესში/კომუნიკაციაში საუბარია ასევე ზემოთ მოხსენიებულ კვლევაშიც ქართული წყაროებიდან - „კაცები და გენდერული როლები საქართველოში“. კვლევის მიხედვით, ბავშვ(ებ)ის აღზრდის პროცესში ქალები და კაცები ერთობლივ/თანაბარ პასუხისმგებლობას არ იღებენ, ბავშვის აღზრდა ქალის პირდაპირ მოვალეობად ითვლება. (იაგო კაჭკაჭიშვილი, 2014)

შემთხვევათა მნიშვნელოვან წილში მამები 0-დან 6 წლის ჩათვლით ბავშვებს არასდროს უმზადებენ საჭმელს, უცვლიან საფენებს ან აბანავებენ. ბავშვის მოვლის მხრივ მამები უფრო მეტად ისეთ საქმეებს ასრულებენ, რომელიც სახლიდან გასვლას მოითხოვს, მაგალითად: ბავშვთან თამაში ან საუბარი, ბავშვის გასართობად წაყვანა, ბავშვისთვის წიგნების წაკითხვა. (იაგო კაჭკაჭიშვილი, 2014)

აღნიშნული კვლევის მიხედვით, 7-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვის მოვლაში ჩართვის შემთხვევაში თამაშს ანაცვლებს საუბარი და ეს ის აქტივობაა, რომელშიც მამების უმრავლესობა - 81% - ყოველდღიურად ერთვება. 7-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვზე ზრუნვის პროცესში ისეთ აქტივობებში, როგორებიცაა ბავშვისთვის საჭმლის მომზადება, ტანსაცმლის გარეცხვა და წიგნების წაკითხვა, კაცების ყოველდღიური მონაწილეობა მცირდება და 7%-ს არ აღემატება. (იაგო კაჭკაჭიშვილი, 2014)

13-დან 18 წლის ჩათვლით მოზარდის აღზრდის პროცესში მამების ჩართვა, წინა ასაკობრივ კატეგორიებთან შედარებით, კიდევ უფრო ნაკლებია: ამ ასაკობრივი ჯგუფის მოზარდისთვის საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში, მასწავლებელთან საუბარში, საჭიროების შემთხვევაში საშინაო დავალების მომზადებაში დახმარებასა და ტანსაცმლის გარეცხვაში ყოველდღიურად ჩართულ კაცების ხვედრითი წილი 5%-ს არ აღემატება. (იაგო კაჭკაჭიშვილი, 2014)

აღსანიშნავია, რომ ქართული და უცხო ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით საგრძნობლად განსხვავებულია, რაც იკვეთება კიდევაც ნაშრომში ლიტერატურული მიმოხილვის ფარგლებში ხსენებული სტატია/ანგარიშებიდან.

მამების როლი შვილებთან მიმართებაში, მათი კომუნიკაცია და ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. უმრავლესობა კვლევებისა ფოკუსირდება დედების ცხოვრების სტილზე და ამასობაში თითქოს იკარგება მამის როლი. კვლევამ შეისწავლა მამების როლი როგორც სამსახურებში, ასევე ოჯახში. (Fathers: balancing work and family) აღნიშნული კვლევის ძირითადი მიგნებებია:

- ✓ მამებისთვის ძირითად მაინც რჩება მარჩენალის როლი;
- ✓ მამა მთავარი მხარდამჭერია ოჯახში - ისინი სამუშაო დღეების განმავლობაში მინიმალურად ერთვებიან ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებში, თუმცა შაბათ-კვირა გამოყოფილად აქვთ მხოლოდ ოჯახისთვის;
- ✓ მამები იმ შემთხვევაში არიან აქტიურად ჩართულები ბავშვების მოვლაში, როდესაც მათი პარტნიორის შემოსავალი ბევრად მაღალია და იგი მუშაობს სრულ განაკვეთზე (Fathers: balancing work and family);

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მთლიან განაკვეთზე დასაქმებული მამები არიან ფინანსურად უფრო აქტიურნი, ვიდრე მამაკაცები, რომელთაც შვილები არ ყავთ. კვლევაში ასევე საუბარია, რომ იცვლება ტენდენციები და მამაკაცები, გარდა მარჩენალისა, ოჯახში ირგებენ სხვა როლებსაც - რაც ადრე მხოლოდ ქალბატონის და

დედის საქმე იყო, დღესდღეობით თანაბრად ხდება აღნიშნული გენდერული როლების გადანაწილება უმეტეს ოჯახში. (Fathers: balancing work and family)

მამები, რომლებიც შვილებს ყოველდღიურად ნახულობენ, კმაყოფილნი არიან მათი სამსახურეობრივი პირობებით და შანსი იმისა, რომ მათ დატოვონ დაკავებული პოზიციები - მინიმალურია. (JR., 2015) ასევე ნაშრომში ჟღერს რეკომენდაცია, რომ კომპანიებმა ხელი უნდა შეუწყონ მამებს და მაქსიმალურად მისცენ მათ დრო ოჯახთან გასატარებლად, რადგან ეს ყოველივე ხელს შეუწყობს დასაქმებულის შენარჩუნებას. ასევე, შესაბამისად მოქნილი გრაფიკიც საშუალებას აძლევს მშობელს შვილისთვის იყოს „საჭირო დროსა და ადგილას", მიუხედავად სამუშაო საათებისა.

New York Times-მა გამოაქვეყნა ერთ-ერთი კვლევა - Motherhood Penalty VS. The Fatherhood Bonus (Miller, Sept. 6, 2014) , სადაც ხაზგასმულია, რომ მამაკაცებს, რომელთაც ყავთ შვილი/შვილები, მათ შემთხვევაში კარიერული წინსვლა საკმაოდ ხშირია, რაც მოიცავს ფინანსური კეთილდღეობის გაუმჯობესებასაც. ამავე კვლევაში ნათქვამია, რომ ქალბატონებს, რომელთაც ყავთ შვილები აქვთ ნაკლები ანაზღაურება, ვიდრე იმ ქალბატონებს, რომლებსაც შვილები არ ყავთ. (Miller, Sept. 6, 2014) თუმცა, იგივე შესაძლებელია მოხდეს იმ მამების შემთხვევაშიც, რომლებიც ნაკლებ დროს ატარებენ ოფისში და ძირითადად დაკავებულები არიან ბავშვების აღზრდით. ანაზღაურების კლების თვალსაზრისით, გამოირჩევიან მამები, რომლებიც სარგებლობენ / ისარგებლეს ე.წ დეკრეტული შვებულებით - ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დემოტივაციასა და/ან საათობრივი სარგოს შემცირებას. (JR., 2015)

მკვლევრები დიდი ხანია აღნიშნავენ, რომ „მამობის ახალი ერა" იწყება, რაც მამებს საშუალებას აძლევს დააბალანსონ სამუშაო და ოჯახი, მათი პასუხისმგებლობები. (Michael Yogman, 2016) თუ დავეყრდნობით შემდეგ წყაროებს: American Time Survey, Pew Research on Social and Demographic Trends, მიუხედავად იმისა, რომ დედები მაინც ასრულებენ სახლისა და ბავშვთან დაკავშირებული საქმეების უმრავლესობას,

ამავდროულად, მამების მიერ გატარებული დრო ორივე მხრივ საგრძნობლად გაზრდილია წლების განმავლობაში. (Michael Yogman, 2016)

გამოცემა ფორბსის ერთ-ერთ სტატიაში, ჰარვარდის ბიზნეს-ადმინისტრირების სკოლის პროფესორი კეტლინ მაკგინი საუბრობს მისი და მისი კოლეგების - HBS-ის მკვლევარ მაირა რუიზ კასტროსა და ჰოლიოკის კოლეჯის პრაქტიკოს ელიზაბეტ ლონგ ლინგოსთან ერთად 24 ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევის შესახებ (ნობელი, 2015). კვლევა ხაზს უსვამს მშობლების დასაქმების სტატუსის გავლენას ბავშვებზე და მათ მომავალზე. კვლევის შედეგების მიხედვით, იმ ქალბატონებს შორის, რომელთა მშობელი დედებიც იყვნენ დასაქმებული და უწევდათ სახლს გარეთ მუშაობა, უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ თავადაც იმუშავებენ, დაიკავებენ და მოიპოვებენ ხელმძღვანელ თანამდებობებს და შესაბამისად უფრო მაღალი ანაზღაურება ექნებათ, ვიდრე იმ ქალბატონებს, რომელთა მშობელი დედებიც დიასახლისები იყვნენ.

რაც შეეხება მამაკაცებს, რომელთა მშობელი დედებიც ასევე მუშაობდნენ, ისინი უფრო მეტ დროს უთმობენ საკუთარ ოჯახზე ზრუნვას და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საოჯახო საქმეებში.

ზემოთ ხსენებულ მკვლევართა მტკიცებით, განვითარებულ ქვეყნებში დასაქმებული ქალბატონები კვირაში საშუალოდ 17.7 საათს უთმობენ ოჯახის წევრებზე ზრუნვას, ხოლო დასაქმებული მამაკაცები – დაახლოებით 9 საათს. ამასთან, ქალბატონები, რომლებიც დასაქმებულები არიან კვირაში საშუალოდ 17.8 საათს ანდომებენ საოჯახო საქმეებს, ხოლო მამაკაცები – მხოლოდ 8 საათს. (ნობელი, 2015)

როგორც აღინიშნა, ცხოვრება და მისი რიტმი მუდმივად ცვალებადია, ასევე ცვალებადია მშობლების როლი სახლსა და სამსახურში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბოლო წლებში სამუშაო ძალას შეურთდა უამრავი ქალბატონი, შედეგად „ორმშობლიან“ ოჯახთა რიცხვი, სადაც ორივე მშობელი სრულ განაკვეთზე მუშაობს 1970 წელს არსებული მონაცემიდან (31%) მკვეთრად გაიზარდა (46%-მდე). (Raising

Kids and Running a Household: How Working Parents Share the Load, 2015) ამასთან, საგრძნობლად შემცირდა იმ მამათა წილი, რომლებიც ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ და იმ დედათა წილი, რომლებიც მხოლოდ დიასახლისები იყვნენ. აღნიშნული კვლევა ჩატარდა 2015 წლის ოქტომბრის თვეში, მასში მონაწილეობა მიიღო 1 807 რესპონდენტმა, რომელთაც ყავდათ 18 წლამდე შვილები. (Raising Kids and Running a Household: How Working Parents Share the Load, 2015) აღნიშნულმა კვლევამ ასევე აჩვენა, რომ იმ ოჯახებში, სადაც ორივე მშობელი მუშაობს, თანაბრადაა გადანაწილებული როგორც საოჯახო, ასევე სააღმზრდელო საკითხები.

ზემოთ ხსენებული კვლევის ფარგლებში, ბევრმა მშობელმა განაცხადა, რომ მათთვის ერთგვარი გამოწვევაა ოჯახსა და სამსახურს შორის ბალანსის შენარჩუნება - რესპონდეტთა 56% ამბობს, რომ მათთვის საკმაოდ რთულია სამსახურისა და ოჯახის პასუხისმგებლობების შეთავსება. (Raising Kids and Running a Household: How Working Parents Share the Load, 2015) ნაწილი მშობლებისა თვლის, რომ მშობლობა და ზოგადად ოჯახი საფრთხეს უქმნის მათ კარიერულ წარმატებას, თუმცა რესპონდეტთა უმრავლესობამ (59%) ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ყველაფერს გავლენა არ ქონია მათ სამსახურეობრივ საკითხებზე.

და მაინც, ვინ შრომობს მეტს? ის მშობლები, რომლებიც დაქორწინებულნი არიან, ან ცხოვრობენ პარტნიონებთან ერთად და ყავთ საერთო შვილი, ამბობენ, რომ ბავშვთან მიმართებაში დედა უფრო მეტს შრომობს, ვიდრე მამა. ამ მოსაზრებას ეთანხმება რესპონდეტთა 59%.

რა იგულისხმება „მეტ შრომაში“? საუბარია ბავშვისთვის მთელი კვირის განრიგისა და აქტივობების დაგეგმვაზე. (Raising Kids and Running a Household: How Working Parents Share the Load, 2015)

ბევრი დასაქმებული მშობლისთვის, სამსახურის შემდგომი დრო არ არის საკმარისი შვილებთან საკომუნიკაციოდ. (PATTEN, 2015) საგულისხმოა, რომ კვლევის თანახმად, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე დედების 18% და დაუსაქმებელი დედების 11% ამ

შეხედულებას იზიარებს. საინტერესოა ისიც, რომ დროის დეფიციტს დასაქმებული მშობლები ხაზს უსვამენ არამხოლოდ შვილებთან, არამედ მეგობრებთან კომუნიკაციაში, ჰობთან მიმართებაში. (PATTEN, 2015)

ერთ-ერთი კვლევის თანახმად, მშობლის დასაქმების სტატუსი ბავშვის ჯანმრთელობაზე დადებითად მოქმედებს. (Katherine W. Bauer, 2012) ამ კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 3 709 მშობელი, თუმცა კვლევა ხაზს უსვამს რომ არის შესაბამისი კავშირები მშობლის დასაქმების სტატუსსა და ნაკლებად ჯანსაღ საკვებ მენიუსთან მიმართებაში. მშობლების და მათ შორის დედების დასაქმების მზარდ ტენდენციებზე ვისაუბრეთ ზევით, აღსანიშნავია ასევე ორივე მშობლის დასაქმების სტატუსი და ამ ყველაფრის დადებითი მხარეებიც, თუმცა რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს რამდენიმე კვლევამ ნათელყო კავშირები მშობლების დასაქმების სტატუსსა და ბავშვების ფიზიკურ წონას შორის, ასევე დედების სრული სამუშაო გრაფიკის მიმართება ბავშვებში ჭარბწონიანობის პრობლემის რისკისა. (Brown JE, 2010) აღნიშნული კავშირების ერთ-ერთ მიზეზად სახელდება გენდერული როლების შეთავსება საკვების მომზადების თვალსაზრისით და იკვეთება მთავარი აზრი, რომ საკვების მომზადება ოჯახში უმეტესწილად ქალის პასუხისმგებლობაა. შესაბამისად, სრულ განაკვეთზე დასაქმებული დედა ხშირად ვერ იცლის სრულფასოვანი საკვები მენიუს შედგენისთვის და ოჯახი იძულებული ხდება გადავიდეს ე.წ „fast food”-ისა და კონსერვანტების გამოყენებაზე. (Schafer RB, 1999)

1991 წელს, ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (The National Institute of Child Health and Development) ინიციატივით, ამერიკის შეერთებული შტატების 10 ცენტრალურ ლოკაციაზე ჩატარდა კვლევა, რომლის მთავარი ამოცანა იყო გამოეკვლია კავშირი დედის დასაქმების სტატუსსა და ბავშვთა მოვლა/აღზრდის ასპექტებს შორის. კვლევის პროცესში ჩართულები იყვნენ საკმაოდ კომპეტენტური მკვლევრები. მათ საკმაოდ ყურადსაღები დასკვნები და რეკომენდაციები შეიმუშავეს, მათ შორის:

- ის ბავშვები, რომელთა მშობლებიც დასაქმებულნი იყვნენ ნახევარ განაკვეთზე ბავშვის პირველ დაბადების დღემდე, ავლენდნენ ნაკლებ ქცევით დარღვევებს, ვიდრე ის ბავშვები, რომელთა მშობლების იმავე პერიოდამდე (პირველ დაბადების დღემდე) მუშაობდნენ სრული განაკვეთით.
- დედები, რომლებიც სრულ განაკვეთზე მუშაობენ აქვთ დეპრესიის ნიშნები (David Pelcovitz, January 3, 2013) რაც შესაძლოს გამოწვეული იყოს სამსახურსა და ოჯახს შორის ბალანსის შენარჩუნების სირთულით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის თანახმად, ის ქალბატონები, რომელთა დედებიც მუშაობდნენ მათ ბავშვობაში, თავად ძალიან წარმატებულები არიან კარიერული თვალსაზრისით. Forbes.com-ზე განთავსებულ ერთ - ერთ სტატიაში (Ashford, 2015) ავტორს მოჰყავს იმ ქალბატონების ციტატები, რომელთა დედებიც მათ ბავშვობაში დასაქმებულები იყვნენ:

- ✓ *„დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, დღეს სწორედ იმიტომ ვარ მეტად ამბიციური და წარმატებული, რომ დედა მუშაობდა. იგი მაკდონალდსის რესტორნების ქსელის, ადამიანური რესურსების მართვის აღმასრულებელი დირექტორი გახლდათ. ყოველ ორ-სამ წელიწადში ერთხელ გვიწევდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ვინაიდან მას ბევრი შემოთავაზება ქონდა დაწინაურებებიდან გამომდინარე და ეს ყველაფერი მოითხოვდა რელოკაციას. ამ ყველაფრის შედეგად, მე საკმაოდ ადაპტირებადი ვარ, ადვილად ვიღებ ყველა სიახლეს. თუმცა, იყო გარკვეული სირთულეებიც. დედა არასდროს ყოფილა ჩართული ჩემს მეცადინეობაში - გარკვეულ საკითხებს ჩემს თანატოლებზე გვიან ვსწავლობდი.“ კაილი, 39 წლის*
- ✓ *ჩემთვის ნამდვილი ინსპირაცია იყო იმის ყურება, თუ როგორ მუშაობდა დედა. მახსოვს, როდესაც მან აიღო მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ხარისხი, მაშინ როდესაც მუშაობდა სრულ განაკვეთზე და იყო მარტოხელა დედა.*

სწორედ მან მასწავლა კონკრეტული საკითხებისადმი ერთგულება, განათლების ფასი, ასევე კარგი კომუნიკაცია, როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში. მე სწორედ იმიტომ ვარ წარმატებული, რომ ვხედავდი დედას, რომელიც მუდმივად მუშაობდა" ბლეირი, 25 წლის

- ✓ *გავიზარდე ოჯახში, სადაც პატივს სცემდნენ მუშაობას, როგორც სახლში, ასევე სამსახურში. დედა ყოველთვის ხაზს უსვამდა პროდიქტიულად ყოფნასა და წესრიგს. შემიძლია ვთქვა, რომ ამ ყველაფერმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემს შეხედულებებზე, კერძოდ, გენდერული როლების გადანაწილებაზე ოჯახში. ყველას თავისი როლი ქონდა ჩვენს ოჯახში და ამ დრომდე, მიუხედავად ჩემი ასაკისა და იმისა, რომ მაქვს საკუთარი ბიზნესი, ყოველ შაბათს თავად ვალაგებ სახლს, მათ შორის ტუალეტსაც." კრისტიანი, 41 წლის*
- ✓ *„დედა, რომელიც ჩემს აღზრდასთან ერთად დაკავებული იყო საკუთარი ბიზნესით, ჩემთვის ინსპირაციისა და შთაგონების წყარო გახდა. პირველ რიგში, მან მასწავლა საკუთერი თავის მართვა, რაც ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია ჩემს კარიერაში." - მიშელი, 43 წლის*
- ✓ *„დედაჩემი სამ სხვადასხვა სამსახურში მუშაობდა პარალელურად. ჩემს თინეიჯერობის ასაკში კი მან საკუთარი ბიზნესი წამოიწყო. ამ დრომდე მეც რამდენიმე ბიზნესი მაქვს. მან მომცა შემართება და ამბიცია ჩემი მიზნების მისაღწევად." ტრიშა, 45 წლის*

ქართველი ნეიროფსიქოლოგი - თამარ გაგოშიძე დასაქმებული მშობლებისა და მათი შვილების ურთიერთობის შესახებ

ნაშრომზე მუშაობისას, მოძიებულ იქნა ერთ-ერთი რელევანტური სტატია, რომელიც თარიღდება მიმდინარე წლის მაისის თვით. თიბისი ბანკმა არაფორმალური შეხვედრების ფორმატში (სტატუს შეხვედრები) მოიწვია ნეიროფსიქოლოგი თამარ გაგოშიძე, რომელმაც ისაუბრა დასაქმებული მშობლებისა და მათი შვილების ურთიერთობის შესახებ.

ფსიქოლოგმა შეხვედრა დაიწყო დანაშაულის გრძნობაზე საუბრით. მისი განმარტებით, ეს არის შეგრძნება, რომელიც ყველა დასაქმებულ მშობელს აწუხებს და რომელიც მათ აუცილებლად უნდა დაივიწყონ. ის, რომ მშობელი დაკავებულია, არსებული მოცემულობაა და მხოლოდ ამ რეალობის მიღების შემდეგ მოახერხებს დასაქმებული მშობელი მომდევნო რჩევების შესრულებას. (მარიამ ყანჩაველი, 2018)

მთავარ პრობლემად ნეიროფსიქოლოგი ასახელებს დროს. მისი თქმით, მართალია, ორმაგი შემოსავლის მქონდე ოჯახში ბავშვი ფინანსურად ორმაგად უზრუნველყოფილია, თუმცა, ჯანსაღი სოციალურ-ემოციური განვითარებისათვის სულ სხვა, არამატერიალური ფაქტორებია გადამწყვეტი. ამ პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვის დაბადების მომენტიდან მისი მშობლებთან დაწყებული კავშირია. იგი აღნიშნავს, რომ არსებულ ეპოქაში დროს ვერ ვიმორჩილებთ, მუდმივად რაღაც გვაქვს გასაკეთებელი, გარკვეულ ამოცანებზე ვართ ორიენტირებულნი. სწორედ დროის უქონლობა იწვევს მშობელში დანაშაულის განცდას. (მარიამ ყანჩაველი, 2018)

ქალბატონი თამარის თქმით, ხშირად ამ ყველაფრის რაციონალიზაციას ახდენენ მშობლები - „მე არ მაქვს დრო, თუმცაღა გამოვიმუშავებ ფულს და დროის კომპენსირებას ჩემი შვილების მატერიალური უზრუნველყოფით ვახდენ.“ ამის მიუხედავად, უკმაყოფილებისა და დანაშაულის განცდა მაინც ჩნდება. მისი

გადმოცემით, ამ განცდის ექვივალენტი მატერია არ არის, ამიტომ სინდისის ქენჯნას მშობლები ვერ დააბალანსებენ ძვირფასი ტელეფონით, გამომდინარე იქედან, რომ ამ ყველაფერს ეფექტი არ აქვს, ბავშვი კი ასეთ დროს, მსგავსი ქმედებით მომხმარებლური ურთიერთობით მანიპულირებას ეჩვევა. (მარიამ ყანჩაველი, 2018)

ნეიროფსიქოლოგმა ასევე ისაუბრა იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებელია უამრავი ინფორმაციის/სწრაფად ცვალებადი მოვლენების ტალღებში გაჩერება და საკუთარ თავთან ჩარღმავება იმისათვის, რომ შვილებთან ვიყოთ ჰარმონიულ ურთიერთობაში.

ყველა დასაქმებულ მშობელს აქვს შფოთი შვილთან გატარებული დროის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, თუმცა შეხვედრაზე ქალბატონმა თამარმა მსმენელებს მოახსენა, რომ გამოსავალი ამ შემთხვევაში არსებობს და თანაც ძალიან მარტივი - გამოსავალი რაოდენობის ხარისხით ჩანაცვლებაა. ქალბატონი თამარი მიიჩნევს და მისი ამ არგუმენტით პასუხს სცემს აღნიშნული ნაშრომის დასაწყისში დასმულ კითხვა შვილთან დროის ხანგრძლივობის შესახებ - ბავშვთან ნახევარი საათი სრულფასოვანი ურთიერთობა სრულიად საკმარისია მასთან საჭირო კომუნიკაციის დასამყარებლად. (მარიამ ყანჩაველი, 2018)

რა თქმა უნდა, აღნიშნული დრო არ უნდა ემთხვეოდეს ტელეფონის ე.წ „სქროლვას“ ან თუნდაც სადილის მომზადების/დალაგების პროცესს. ეს უნდა იყოს უშუალო, პირისპირი კომუნიკაცია ბავშვთან - ნახევარი საათი, როდესაც მშობელს სხვა არაფერი აინტერესებს და არც მოთხოვნის რეჟიმშია შვილის მიმართ. აღნიშნული მშობლებისთვისაც ფსიქოთერაპიად შეიძლება ჩაითვალოს.

ნეიროფსიქოლოგის განმარტებით, როგორც წესი, ადამიანის უპირველესი და საბაზისო მოთხოვნილება უსაფრთხოების, შემდგომ კი - მიკუთვნების განცდაა. აღნიშნული შეგრძნებები 2-3 წლამდე ყალიბდება, როდესაც ბავშვს ნდობა და პოზიტიური დამოკიდებულება უნდა გაუჩნდეს გარემოს მიმართ. მან უნდა იგრძნოს, რომ არსებობს ისეთ ჯგუფში (ანუ ოჯახში), რომელიც მას დაიცავს. სწორედ ამ

პერიოდში სჭირდება ბავშვს ოჯახის მხარდაჭერა. დასაქმებულ მშობლებს კი მათი ძიძასთან/ბებია-ბაბუასთან ან ბაღში დატოვება უწევთ. სწორედ ცალ-ცალკე გატარებული დროის ამანაზღაურებელი და მაკომპენსირებელი არის თამაში, რომელსაც შეუფასებელი წვლილი აქვს ბავშვისა და მშობლის ურთიერთობაში. (მარიამ ყანჩაველი, 2018)

ნეოროფსიქოლოგი ამბობს, რომ თამაში, ბავშვისთვის ყველაზე სასიამოვნო პროცესი, მის მოტივაციასთან პირდაპირ კავშირშია. თუმცა, მისი ფუნქცია არა უბრალოდ გართობა და სიამოვნების მიღება, არამედ ბავშვის აღქმის, მეხსიერების, ემოციების რეგულაციის, კომუნიკაციის, სენსორული და მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობაა. თამაში არის ყველაზე ბუნებრივი ფორმა ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობაში, რა დროსაც ხდება ბავშვის ინტერესების აღიარება, ინფორმაციისა და ემოციების გაზიარება. მისი გადმოცემით, ხშირია შემთხვევები, როდესაც მასთან მიჰყავთ ერთი შეხედვით, თითქოს აუტიზმის სპექტრის დარღვევის ნიშნების მქონე პატარები, თუმცა რეალურად, ამ დროს, დედას აქვს დეპრესია და ვერ ამყარებს კონტაქტს შვილთან, რის შედეგადაც ბავშვმაც არ იცის კომუნიკაცია.

6 წლამდე ბავშვთან ბუნებრივი თამაში გადამწყვეტი აქტივობაა. ბავშვის პიროვნული ზრდის გარდა, ეს გახლავთ კომპიუტერთან მიჯაჭვულობის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება. კომპიუტერთან მიჯაჭვულობა და მასთან დიდი დროის გატარება დღევანდელი ბავშვების ერთ-ერთი „სუსტი“ წერტილია. კომპიუტერულ და ვიდეოთამაშებზე დამოკიდებულების დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში შეყვანა 2019 წლის ბოლომდე იგეგმება. (ელენე ხაჭაპურიძე, თ. გ.)

მშობლის დასაქმების სტატუსის პოზიტიური ეფექტი ბავშვთან მიმართებაში

სახლში მყოფი დედა, ე.წ Stay at home mom, რომელიც უკმაყოფილოა მისი იმდროინდელი ცხოვრებით, შეუძლებელია იყოს პოზიტიური მაგალითი მისი შვილებისთვის. დასაქმებული მშობელი მეტად კეთილგანწყობილია და ამავდროულად ბავშვებისთვის სამაგალითო. ამ ყველაფრით ბავშვებს უჩნდებათ ინსპირაციის წყარო, რომ იბრძოლონ მათი ოცნებებისა და ამბიციების კვალდაკვალ. დედები, რომლებიც ერთმანეთს უთავსებენ ოჯახსა და სამსახურს, ბავშვებს უნერგავენ სამუშაო ეთიკას, გოგოებს კი განსაკუთრებით ეხმარება ეს ფაქტი სტერეოტიპების დამსხვავაში. დასაქმებული დედები ასწავლიან ბავშვებს პასუხისმგებლობის აღებასა და განაწილებას. თუ ოჯახში ორივე მშობელი დასაქმებულია, ოჯახის ყველა წევრს უწევს აქტიური როლის შესრულება - ბავშვები ითვისებენ ისეთ უნარებს, რასაც სხვა შემთხვევაში არ/ვერ შეიმეცნებდნენ. ამით ისინი იზრდებიან დამოუკიდებელ პიროვნებებად, რაც სამომავლოდ მათ ეხმარება რეალური სამყაროს აღქმასა და პასუხისმგებლობის გათავისებაში.

დასაქმებული დედები თავისუფალ დროს მეტად ხარისხიანად ატარებენ ბავშვებთან, იმ დროის დაკომპენსირების მიზნით, რასაც სამსახურის გამო ვერ გამოყოფენ შვილებისთვის. ასეთ დროს ბავშვები მთელი გულით ელოდებიან მშობლებთან დროის გატარებას.

ე.წ Stay at home mom-ის შემთხვევაში, ბავშვი შესაძლოა მიეჩვიოს დედასთან ყოფნას და ვერ აღიქვას/აღიაროს მისი ძალისხმევა. ამ ყველაფრის გარდა არსებობს ორივე მშობლის დასაქმებიდან გამომდინარე ფინანსური უპირატესობაც, რაც გულისხმობს კარგ სკოლაში სწავლის პერსპექტივას და სხვადასხვა ინტერესების (სპორტი,ხელოვნება) განვითარების/დაუფლების შესაძლებლობას. (Working Mom vs Stay-At-Home Mom: What's Best for Kids?, November 12, 2013)

მშობლის დასაქმების სტატუსის ნეგატიური ეფექტი ბავშვთან მიმართებაში

სააღმზრდელო სააგენტოებში არსებულმა შეუსაბამო და არადამაკმაყოფილებელმა ვითარებამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბავშვის ემოციურ თუ ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. ასევე, ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას შესაძლოა ავნოს არაკვალიფიციურმა და საქმისგან ზედმეტად დატვირთულმა მომსახურე პერსონალმა ამავე დაწესებულებებში. შესაძლოა დასაქმებული დედები თავს ასევე ზედმეტად დატვირთულად გრძნობდნენ, როდესაც ცდილობენ დააბალანსონ სამსახური და ოჯახი. თუ ამ ყველაფერს ისინი ღიად გამოხატავენ ოჯახში, ამასაც შესაძლოა ქონდეს ნეგატიური გავლენა - ბავშვები ჩათვლიან რომ სამსახური მშობლის სტრესის საფუძველია.

ხშირ შემთხვევაში შესაძლოა ბავშვებმა იგრძნონ, რომ დედას არ აინტერესებს მათი მდგომარეობა და ემოციები, გამომდინარე იქედან, რომ მშობელს არ ყოფნის რესურსი სამუშაო დღის შემდეგ სათანადო ყურადღება გამოიჩინოს ბავშვებისადმი. ასევე, ოჯახური კონფლიქტები მრავალ შემთხვევაში დაწყებულა დედის დასაქმების გამო - რაც ასევე ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვზე. „სახლში მყოფი“ დედა, რომელიც უკმაყოფილოა მისი ყოფით, შეუძლებელია იყოს იდეალური დედა. მეორეს მხრივ, ისინი შესაძლოა ძალიან კმაყოფილებიც არიან ამ გარემოებით. ყველაზე მნიშველოვანი ფაქტორი ბავშვის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის, არის მშობლის „არსებობის“ შეგრძნება და ერთად გატარებული დროის ხარისხი. (Working Mom vs Stay-At-Home Mom: What’s Best for Kids?, November 12, 2013)

დასაქმებული მშობლების სამუშაო პირობები საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ

საინტერესოა, რა პირობები აქვთ საქართველოში დასაქმებულ მშობლებს , სთავაზობს თუ არა რომელიმე დამსაქმებელი მათ რაიმე ტიპის ბენეფიტს მშობლის სტატუსის გამო. ნამშრომის ამ ნაწილში აღნიშნულ თემას შევეხები.

საქართველოს შრომის კოდექსში არსებული ერთ-ერთი მუხლი (მუხლი 19: დამატებითი შესვენება მეძუძური ქალისათვის) დამსაქმებელს ავალდებულებს:

1. დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა.

2. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება. (www.matsne.gov.ge, 2010)

საქართველოს შრომის კოდექსით ასე რეგულირდება მშობელი დედისთვის დრო ბავშვის მოვლასთან მიმართებაში და როგორც ვხედავთ მხოლოდ წლამდე. სხვა დანარჩენი, დამსაქმელის კეთილი ნებაა. თუმცა, ცალკე საკითხია მოქმედებს თუ არა მხოლოდ ქაღალდზე დეკლარირებული პუნქტები რეალობაში.

საგულისხმოა, რომ დასაქმებულ დედას, შეუძლია ისარგებლოს დეკრეტული შვებულებით - ამ შემთხვევაშიც, გააჩნია დამსაქმებელს. ძირითადად, სახელმწიფო სამსახური არის ის დამსაქმებელი, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მისი თანამშრომლის დეკრეტული შვებულება:

- *დასაქმებულს/საჯარო მოსამსახურეს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო – 730 კალენდარული დღის ოდენობით, რომელთაგან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის*

შემთხვევაში ანაზღაურებადია 200 კალენდარული დღე. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულება დასაქმებულს თავისი შეხედულებისამებრ შეუძლია გადაანაწილოს ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდებზე. (www.matsne.gov.ge)

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, მშობელი დედის დეკრეტული შვებულება კანონმდებლობით განისაზღვრება 24 თვით (2 წელი), ხოლო აქედან ანაზღაურებადია მხოლოდ 6 თვე.

ასევე, კანონმდებლობით, დეკრეტული შვებულებით სარგებლობის უფლება აქვს მშობელ მამასაც, თუმცა განსხვავებული პირობებით:

- *საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დასაქმებულს (ბავშვის მამას) თავისი მოთხოვნის საფუძველზე, ეძლევა შვებულება ბავშვის მოვლის გამო ბავშვის დაბადებიდან 550 კალენდარული დღის ოდენობით, რომელთაგან ანაზღაურებადია 90 კალენდარული დღე. ამასთან, დასაქმებულს (ბავშვის მამას) ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულება 90 კალენდარული დღის ოდენობით მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალშობილის დედას არ უსარგებლია ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ანაზღაურებადი შვებულებით ან ასეთი შვებულების ნაწილით.* (www.matsne.gov.ge)

კანონის თანახმად, მამებს შეუძლიათ ისარგებლონ დეკრეტული შვებულებით 18 თვის განმავლობაში, ხოლო აქედან ანაღზაურდება მხოლოდ 3 თვე. თუმცა, დოკუმენტის მიხედვით, ამ შემთხვევაშიც, განსხვავებულია წინაპირობა: მამებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ აღნიშნული შვებულებით სარგებლობა, თუ დედამ ვერ/არ გამოიყენა დეკრეტული შვებულება სრულად.

ასევე, დასაქმებული მშობლისთვის ე.წ ბენეფიტად ითვლება სახელმწიფოს მიერ გაცემული 1 000 ლარი, რომელსაც უზრუნველყოს სოციალური მომსახურების სააგენტო. (ssa.gov.ge, n.d.)

თანამშრომლებზე ზრუნვის, კერძოდ მშობელი დედების მიმართ პატივისცემის და დაფასების მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ამ მიმართულებით ყველაზე გახმაურებადი ფაქტი ახლო წარსულიდან, რომელიც უკავშირდება თიბისი ბანკის მიერ მისი თანამშრომლის, 7 შვილიანი ქალბატონის დაჯილდოვებას 50 000 ლარით. აღნიშნულმა ძალიან დადებითი უკუკავშირი გამოიწვია საზოგადოებაში. სწორედ ამ შემთხვევის გამო დავინტერესდი ზოგადად საქართველოში და ამ მაგალითის გახსენების შემდგომ - თიბისი ბანკის პრაქტიკით ამ მიმართულებით.

თიბისი ბანკში 2013 წლიდან არსებობს „მრავალშვილიანი თიბისელების კლუბი“, რომლის მთავარი მიზანი ქვეყანაში დემოგრაფიული მონაცემების გაუმჯობესება და თანამშრომლებზე ზრუნვაა. თიბისი ბანკის ნებისმიერ თანამშრომელს შვილის შეძენის შემთხვევაში კომპანია ურიცხავს 1000 ლარს. თანამშრომელი მრავალშვილიანად ითვლება მესამე და მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში და კომპანიისგან პერიოდულად გადაეცემა სხვადასხვა სახის საჩუქრები. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მე-5 ბავშვის შეძენის შემთხვევაში დაჯილდოვდნენ 10 000 ლარით. თიბისი ბანკში ამჟამად მხოლოდ 2 თანამშრომელია, რომელთან ყავთ 7 შვილი და ისინი კომპანიამ 50 000 ლარით დააჯილდოვა.

თიბისი ბანკის თანამშრომლებს, რომელთაც ყავთ 1 წლამდე შვილი, შეუძლიათ სამსახურში გამოცხადდნენ არსებული სამუშაო გრაფიკით გათვალისწინებულ დროზე 1 საათით გვიან, ან დაასრულონ მუშაობა აღნიშნული გრაფიკით გათვალისწინებულ დროზე 1 საათით ადრე, სურვილისამებრ, რაც საქართველოს შრომის კოდექსითაც არის გათვალისწინებული. [2]

[2] აღნიშნული საკითხის დაზუსტებისთვის, კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე შედგა კომუნიკაცია თიბისი ბანკის HR მენეჯერთან.

ზუსტად თიბისი ბანკის ინიციატივით, მიმდინარე წლის მაისის თვეში, ნეიროფსიქოლოგი თამარ გაგოშიძე შეხვდა თიბისი სტატუსის მომხმარებლებს (სტატუს შეხვედრების ფარგლებში). აღნიშნული მოხსენიებულია ნაშრომის ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში.

როგორც ნაშრომის დასაწყისში აღინიშნა, საქართველოში არსებული საჯარო ბაგა-ბაღები დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე უზრუნველყოფენ სააღმრზდელო აქტივობებს. საჯარო სკოლების შემთხვევაში კი გაკვეთილები 2-3 საათამდე გრძელდება. თუ ამ უკანასკნელში ბავშვი ირიცხება გახანგრძლივებულ სექტორში აღნიშნული დრო საათი 5-მდე გადაიწევს. კერძო ბაგა-ბაღების სამუშაო საათები (დილის 9-დან საღამოს 19:00 / 19:30 საათამდე) უფრო მეტად მორგებულია მშობლების სამუშაო საათებს, ვიდრე საჯარო ბაგა ბაღები თუ სკოლები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი კერძო სკოლა, გახანგრძლივებული სექტორის მიუხედავად მუშაობას ასრულებს 5 საათისთვის, რაც მშობლისთვის დამატებით საფიქრალია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მშობელს უწევს დამატებითი ხარჯის გაწევა, რათა ბავშვი სკოლის შემდგომ ან კვლავ რაიმე აქტივობით დაკავდეს და მისი სამუშაო გრაფიკის შესაბამისად, თავად მიაკითხოს, ან დაიქირავოს ძიძა, რომელიც ბავშვთან დარჩება მისი სამუშაო საათების დასრულებამდე / სახლში მისვლამდე.

ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ბავშვთა ზრუნვის სხვადასხვა ტიპის პროგრამები/აქტივობები არსებობს, როგორც სახელმწიფო, ასევე დამსაქმებლის დონეზე, რომლებიც მოიცავს, როგორც მუდმივ ფინანსურ მხარდაჭერას ოჯახებისათვის, ასევე მათთვის მოსახერხებელი და ხელსაყრელი სამუშაო პირობების შექმნას. ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ დასაქმებული არის მშობელი და ყავს ბავშვ(ებ)ი. ასევე, მსოფლიოში აქტუალური ხდება დამსაქმებლების მხრიდან ადგილზე არსებული სააღმზრდელო დაწესებულებების შექმნა, რაც დასაქმებული მშობლისთვის ყველაზე დიდი უპირატესობაა, რადგან ნებისმიერი შემთხვევისთვის, ბავშვი არის მათთან ახლოს. აღნიშნულებს ბავშვებზე ზრუნვის ბენეფიტს უწოდებენ

(Child Care Benefit). საზღვარგარეთის გამოცდილებით, ე.წ Child Care Benefits (ბავშვებზე ზრუნვის ბენეფიტები) უზარმაზარ როლს თამაშობს დასაქმებული მშობლებისთვის, რომ არჩევანი გააკეთონ კონკრეტულ დამსაქმებელზე. აღნიშნულმა პრაქტიკამ განაპირობა ის, რომ ბევრად ნაკლები თანამშრომელი ტოვებს სამსახურს, გაუმჯობესდა თანამშრომელთა დასწრება და გაიზარდა მათი პასუხისმგებლობის დონე.

ე.წ „ბავშვებზე ბრუნვის ბენეფიტს“ რამდენიმე პოზიტიური ფაქტი ახლავს თანამშრომლების მხრიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- ✓ ისინი სამსახურში მეტად პროდუქტიულები არიან;
- ✓ ისინი გრძნობენ, რომ დამსაქმებელი მათ მხარს უჭერს სამსახურისა და ოჯახური ცხოვრების დაბალანსებაში;
- ✓ ისინი იშვიათ შემთხვევებში ტოვებენ კონკრეტულ სამსახურს, ვინაიდან თავს კომფორტულად გრძნობენ და აკმაყოფილებთ ის ბენეფიტები, რასაც ღებულობენ;
- ✓ ბავშვის დაბადების შემდგომ ისინი მეტწილად ბრუნდებიან სამსახურში შეთავაზებული ბენეფიტების გათვალისწინებით (Pena, 2017);
- ✓ თანამშრომლის უფრო მეტად ლოიალურები და პასუხისმგებლიანები არიან სამუშაოს მიმართ (ACAS, 2004) (აქ შეილება კიდევ რაღაცეების დამატება საჭიროებისამებრ)ს

ძალიან საინტერესო ხედვას გვთავაზობს Harvard Business Reviews ერთ-ერთ სტატია - How Some Companies Are Making Childcare Less Stressful For Their Employees (Beck, 2017, April 14). აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში გამოიკითხა ასობით მშობელი, რომელთაც ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებებზე ბავშვის შეძენის შემდგომ სამსახურში დაბრუნების შესახებ. პირისპირმა ინტერვიუებმა გამოაშკარავა ის საკითხები, რაც ყველაზე მეტად იწვევს მშობლებისთვის დისკომფორტს - ბავშვთა

მოვლის ე.წ Benefit-ებისა და გულწრფელი მხარდაჭერის ნაკლებობა დისკომფორტებს შორის პირველია.

ამ მხრივ, ნაშრომში ნახსენებია რამდენიმე კომპანიის პრაქტიკა და/ან რეკომენდაციები თანამშრომელთა მხარდასაჭერად:

- ✓ **შეხვედრების დაწყებისა და დამთავრების რეგულარული/გაწერილი გრაფიკი:** რამოდენიმე კომპანიამ შეიმუშავა პოლიტიკა, რომლის თანახმადაც შეხვედრები არ უნდა დაიწყოს დილის 9:30-მდე და არ უნდა დასრულდეს 4:30 საათზე გვიან. აღნიშნული ინიციატივა არეგულირებს სამუშაო დროის შემდგომ ჩანიშნულ შეხვედრებს და მშობლის ღელვასაც ბავშვის ბაღის/სკოლაში მიკითხვასთან დაკავშირებით.
- ✓ **განრიგის სწორი მენეჯმენტი** - სამუშაო დრო და გრაფიკი უნდა იყოს შესაბამისად გათვლილი, ისე, რომ თანამშრომლებმა სამუშაო დღის ბოლოს არ შეიტყონ, რომ უწევთ დარჩენა სამუშაო დროის შემგომ/დილით ჩვეულებრივზე ადრე მოსვლა/მივლინებით გამგზავრება და აშ. აღნიშნული ძალიან დიდ დისკომფორტს უქმნის დასაქმებულს ბავშვის დამტოვებელის მოძიების კუთხით.
- ✓ **მოქნილი გრაფიკის შეთავაზება დასაქმებული მშობლისთვის** - ნაშრომის ავტორი ესაუბრა ერთ-ერთი კომპანიის (BirchBox) ვიცე-პრეზიდენტს. მისი გადმოცემით, მისი კომპანია აძლევს დასაქმებულს მოქნილი/მასზე მორგებული გრაფიკის არჩევის საშუალებას. აღნიშნული გულისხმობს ოფისში მოქნილი გრაფიკითა და სხვა ლოკაციიდან მუშაობის შესაძლებლობის არსებობას. (Beck, 2017, April 14)

სამწუხაროდ, საქართველოში არ ფიქსირდება კომპანიები, რომლებიც დასაქმებულს სთავაზობს ყველა ან სულ მცირედს მაინც იმ „Child Care Benefit"-ებს, რაც ზევით იქნა დასახელებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკებიდან. თუმცა, გამოიკვეთა პატარ-პატარა პოზიტიური ძვრები ამ მიმართულებით, კერძოდ:

კვლევითი კომპანია ACT-ის (Analysis and Consulting Team) დამფუძნებელმა, თინათინ რუხაძემ სოციალური ქსელის (Facebook) გვერდზე გამოაქვეყნა შემდეგი პოსტი:

„ერთ მშვენიერ დღეს ოფისში თანამშრომელს რომ მივესალმე, დავინახე, რომ უხერხულად მალავდა ბავშვს ზურგს უკან. მომიბოდიშა, ვერ დავტოვე ვერსადო. არასდროს დამავიწყდება მისი სახე, თითქოს რაღაც დანაშაულზე წაასწრეს: შიში, სირცხვილი, ღელვა - ყველაფერი ერთად იკითხებოდა. დავამშვიდე და ერთი რჩევაც მივეცი, არასდროს იმუშავო იქ, სადაც შენი დედობა პრობლემად ან დანაშაულად იქნება აღქმული თქო. დღეს ყველა ჩვენმა თანამშრომელმა იცის, რომ მათი შვილი ყოველთვის სასურველი სტუმარია ეისითიში. მადლობა, რომ ასეთ გარემოს ქმნით“ (hrhub.ge, მარტი 27, 2019)

ამ პოსტით იგი საჯაროდ გამოხატავს პოზიტიურ დამოკიდებულებას აღნიშნული პრეცედენტის მიმართ, ასევე ამ სტატუსში იკითხება ე.წ „ნებართვა“ და მოწოდება მისი თანამშრომლებისთვის, რომ მსგავსს სიტუაციებში კომპანია და მისი მენეჯმენტი მიესალმება ბავშვების არსებობას სამუშაო სივრცეში.

მიმდინარე წლის ივნისის თვეში კომპანია იმედი - L-მა სათავო ოფისში ჩაატარა ღონისძიება სახელწოდებით „მშობლებისა და ბავშვების დღე იმედი L-ში“ (#მეტიდრობავშვებს). კომპანიის მენეჯმენტის მთავარი სათქმელი ამ ღონისძიებით იყო ის, რომ „გვახსოვდეს - მშობელთან გატარებული დრო სამუდამოდ იბეჭდება ბავშვის მეხსიერებაში და ხელს უწყობს მისი თვითშეფასების დადებითად ჩამოყალიბებას.“ [3]

როგორ ჩანს ქართული კომპანიებიც ნელ-ნელა, როგორც მინიმუმ საჯაროდ მაინც აპოზიციონირებენ მათ პოზიტიურ/დადებით მიდგომასა და დამოკიდებულებას დასაქმებული მშობლების და ბავშვების მიმართ, რამაც შესაძლოა სამომავლოდ

[3] აღნიშნულის შესახებ კომპანია იმედი L-მა გამოაქვეყნა პოსტი Facebook -ის ოფიციალურ გვერდზე

აღნიშნული ღონისძიებების/მიდგომების მნიშვნელოვნად განვითარებას შეუწყოს ხელი.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზნები და ამოცანები

იქედან გამომდინარე, რომ სამუშაო ძალაში ბოლო წლების განმავლობაში უფრო და უფრო მეტი ქალბატონი ერთვება და იმატებს იმ ოჯახთა რაოდენობა, სადაც ორივე მშობელი დასაქმებულია, აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალურია არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საინტერესოა, როგორ ახერხებენ მშობლები ბავშვთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას და რთული, რუტინული დღის შემდეგ შვილებთან კომუნიკაციას, დროის დეფიციტის „შევსებას“ და დაბალანსებას.

აღნიშნული კვლევის მიზანია შევისწავლოთ დასაქმებული მშობლების ურთიერთობა მათი შვილების მიმართ, გავიგოთ ბავშვებისთვის გამოყოფილი დროის ოდენობა და კომუნიკაციის ხარისხი. ვისაუბროთ მშობლების დროის მენეჯმენტის შესახებ - როგორ ხერხდება ბავშვებისთვის საჭირო დროის გამოყოფა და მისი პროდუქტიული ათვისება.

ასევე, საინტერესო იქნება მშობლებთან გასაუბრება მათ დამოკიდებულებებზე იმის მიმართ, თუ როგორ ხედავენ ისინი შვილებთან გატარებული დროს, როგორია მათი განწყობა და მათი შეფასებით, განიცდიან თუ არა მათი შვილები მშობლებთან კომუნიკაციის ნაკლებობას. ამ ყველაფერთან ერთად, მნიშვნელოვანია გავიგოთ, თუ როგორ ახერხებენ მშობლები საოჯახო საქმეების დამენეჯმენტებას აღნიშნული ფონის გათვალისწინებით.

საკვლევი კითხვები და ამოცანები

- დასაქმებული მშობლებისა და მათი შვილების კომუნიკაციის შესწავლა;
- შვილებთან გატარებული დროის პროდუქტიულობის შეფასება;
- კომუნიკაციის დეფიციტის შეფასება;
- საოჯახო საქმეების დამენეჯმენტების საკითხი.

ცნებების ოპერაციონალიზაცია

დასაქმებული მშობლები - იგულისხმება სრულ განაკვეთზე, კვირაში 5-6 დღე მომუშავე დედები და მამები (მინ 40 საათიანი სამუშაო კვირა)

დროის მენეჯმენტი - თანამედროვე მსოფლიოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. დრო ნებისმიერი ადამიანის ძირითადი რესურსია. დროის მენეჯმენტი, ანუ მისი სწორი მართვა, ასწავლის ადამიანებს დროის ეკონომიის და რაციონალურად გადანაწილების გზებსა თუ საშუალებებს. მათი დაუფლებით ადამიანებს შეუძლიათ ბევრად ეფექტურონ მართონ დრო. სწორედ ამაზე გავესაუბრებით მშობლებს, განვიხილავთ და შევაფასებთ დროის მართვის „ხერხებს“ და ეფექტურობას. (მანანა ხარხელი, 2016)

კომუნიკაცია - გულისხმობს მინიმუმ ორ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლას და ყოველთვის აქვს კონკრეტული მიზანი. ნებისმიერი ურთიერთობის მსგავსად, იგი წრიული ხასიათისაა. ერთი ადამიანი გადასცემს გარკვეულ ინფორმაციას მეორეს, ეს უკანასკნელი იძლევა პასუხს, ხოლო ინფორმაციის გადამცემი, აგებს თავის მომდევნო კომუნიკაციას. კომუნიკაცია მარტო იმაზე კი არ არის დამოკიდებული, რა ინფორმაცია გადასცა ერთმა მხარემ, არამედ იმაზეც, თუ როგორ გაიგო და შეაფასა ეს გზავნილი მეორე მხარემ. (თავი 1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა მომსახურების სფეროს პროფესიებისთვის). ადამიანები ერთმანეთთან სხვადასხვა სახის კომუნიკაციას ამყარებენ, ეს შეიძლება იყოს დედა-შვილს, თანამშრომლებს,

კლიენტსა და მომსახურების გამწევ პირს შორის და ა.შ. ასეთი დამოკიდებულების გარდა ურთიერთობები ერთმანეთისაგან სიღრმის ხარისხითაც განსხვავდებიან. სწორედ ერთ-ერთი ზემოთხსენებული კომუნიკაციის ფორმაზე (შვილები და მშობლები) ფოკუსირდება აღნიშნული კვლევა.

კვლევის დიზაინი

რესპონდენტთა შერჩევა მოხდა მიზნობრივი შერჩევის ტიპის, კერძოდ თოვლის გუნდის პრინციპის შესაბამისად. რესპონდენტებად განისაზღვრენ მშობლები, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, რომლებიც დასაქმებულები არიან სრულ განაკვეთზე და ჰყავთ 10 წლამდე შვილები. მშობლებთან გასაუბრება მოხდა ჯგუფური ინტერვიუს ფორმატში, ჩატარდა 8 ჯგუფი, პროპორციულად 4 დედებთან და 4 მამებთან. დისკუსიები გაგრძელდა 1-1,5 საათი. კვლევის ჩატარების ლოკაცია არის ქალაქი თბილისი.

ასევე, საკვლევი თემის შესაბამისად ჩატარდა ინტერვიუ ბავშვთა ფსიქოლოგთან, რომელმაც ისაუბრა მშობლის დასაქმების სტატუსის დადებითი/უარყოფითი მხარეების შესახებ.

დისკუსიების ჩაწერა მოხდა ხმის ჩამწერი მოწყობილობის საშუალებით, რის საფუძველზეც მომზადდა ტრანსკრიპტი, რომელიც შემდგომ დამუშავდა და მის მიხედვით დაიწერა კვლევის შემაჯამებელი ანგარიში.

კვლევის შედეგები

საქართველოში დღემდე არსებული პატრიარქალური კულტურა გარკვეულ მოდიფიკაციას განიცდის. ქალთა შესახებ აქამდე არსებული გენდერული წარმოდგენები იცვლება და მამაკაცის როლს სულ უფრო მეტად უთანაბრდება. მიმდინარე კულტურულ ცვლილებებზე ქვეყანაში არსებულმა პოლიტიკურმა დღის წესრიგმაც იქონია გავლენა, რადგან სახელმწიფო მოქალაქეების დასაქმებას, ხარისხიან განათლებას და ჯანდაცვას ვერ უზრუნველყოფს, შესაბამისად, კაპიტალიზმის პირობებში მცხოვრები ადამიანი იძულებულია თვითგადარჩენაზე თავად იზრუნოს. სწორედ ამიტომ, ქალთა სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში მონაწილეობის აუცილებლობა უფრო აქტიურად დადგა, შესაბამისად, ტრადიციული ნარატივი- ქალი დროის დიდ ნაწილს ოჯახში ბავშვთან უნდა ატარებდეს, შეიცვალა ორივე მშობლის თანაბარი მონაწილეობით ფინანსების მოძიების მხრივ თუ ბავშვების აღზრდის საკითხებში. ამ ყოველივეს თან დაერთო ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული ბუნებრივი კომუნიკაციის დეფიციტიც. ბოლო დროს, სოციალური ურთიერთობების გაციფრულებამ და ე.წ „გაჯეტების“ მოხმარებამ პიკს მიაღწია და თითქოს ჩაანაცვლა კიდეც ბუნებრივი კომუნიკაციის საჭიროება და ადამიანური ურთიერთობების გაუცხოებას შეუწყო ხელი.

ინტერვიუ ფსიქოლოგთან

იმისათვის, რომ კვლევის კითხვებისა და და ამოცანების შესაბამისად მაქსიმალურად ყველა მხარის (მშობლები, შვილები) პოზიცია ყოფილიყო გათვალისწინებული, დასაქმებულ მშობლებთან გასაუბრების გარდა, ჩატარდა ინტერვიუ ფსიქოლოგთან და ამ თემასთან დაკავშირებით გაზიარდა მისი შეხედულებები.

აღნიშნული საკითხები საკმაოდ კომპლექსურია, ფართო საკვლევ თემას წარმოადგენს, ვისაუბრეთ დასაქმებული მშობლების და მათი შვილების კომუნიკაციაზე. კონკრეტულად - თუ რა გრძელვადიანი გავლენა შესაძლოა ჰქონდეს დასაქმებული მშობლების კომუნიკაციის არათანმიმდევრულ სტილს შვილებთან მიმართებაში.

საკითხის სირთულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ცალსახა პასუხი არ არსებობს - ორივე მშობლის დასაქმებას, რათქმაუნდა, დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. დადებით ასპექტში, პირველ რიგში მოიაზრება ხელფასით განპირობებული ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობა, რაც შვილების ისეთი საჭიროებების, როგორებიცაა კვება, ჯანმრთელობა, დასვენება, განათლება და ა.შ, დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს თუმცა, დღევანდელი მძიმე სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, სადაც სახელმწიფოს მხრიდან შრომის ინსპექტირება თითქმის არ ხდება, ხშირად მოზრდილ ადამიანებს კვირაში 40 საათზე მეტი შრომა უწევთ, შესაბამისად, დაღლილი მშობელი სამსახურის შემდგომ, ბავშვთან ნაკლებად პროდუქტიულია და ვერ ერთვება შვილის ფსიქიკური განვითარებისთვის აუცილებელ აქტივობებში, როგორიცაა: თამაში და ემოციური მხარდაჭერა.

ფსიქოლოგის თქმით, თითოეული ადამიანის შემთხვევაში, ბავშვობისდროინდელ გამოცდილებას და მშობელთან კომუნიკაციის ხარისხს განსხვავებული შედეგები მოჰყვება და ის მთელი ცხოვრების განმავლობაში ახდენს ადამიანის აღქმაზე გავლენას. ამ ტიპის გამოცდილება წარმოადგენს ბაზისს, რომელსაც ბავშვი უკვე

ზრდასრულობაში იმეორებს სოციალურ ცხოვრებაში. ამის ილუსტრაციისთვის ვისაუბრეთ ბავშვის მიჯაჭვულობის დარღვევის შესახებ მშობლებთან მიმართებაში.

ფსიქოლოგმა საუბრისას მოიშველია სხვადასხვა თეორია, მათ შორის : მიჯაჭვულობის თეორია - აღნიშნული თეორია ფსიქოანალიტიკოსმა ჯ. ბოულბიმ და ფსიქოლოგმა მ. ეინსვორტმა ჩამოაყალიბა, რომელშიც მოიაზრება ძლიერი, ხანგრძლივი ემოციური ურთიერთობა ბავშვსა და მასზე რეგულარულად მზრუნველს შორის, რომელიც განუსაზღვრელი დროით ნარჩუნდება, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს ინდივიდები ერთმანეთს სცილდებიან – "«მიჯაჭვულობა არის ემოციური თოკი, რომელიც ძლიერად აკავშირებს ორ ადამიანს დროსა და სივრცეში». (თავართქილაძე, თ. გ.) მიჯაჭვულობა ბუნებრივია, რომ მშობელთან კომუნიკაციის შედეგად ყალიბდება და მასში მოიაზრება მშობლის მიმართ ემოციური კავშირი, ასევე დაცულობის განცდა. აღნიშნული ფენომენი ადამიანში ევოლუციურად არის თანდაყოლილი და მას სამომავლოდ აქვს ბავშვის ფიზიკური გადარჩენის და გარემოსთან ადაპტაციის ფუნქცია. მზრუნველის/მშობლის მხრიდან ამგვარი კავშირის ჩამოსაყალიბებლად, ბავშვს, განვითარების ადრეული ასაკიდანვე უნდა ჰქონდეს მასთან მჭირდო ურთიერთობის საშუალება, რაც დღესდღეობით დროის ფუფუნების საკითხია და სწორედ ეს არის ის, რაც თანამედროვე მშობლებს ყველაზე მეტად ესაკლისებათ. იმ შემთხვევაში, თუ მშობლის მხრიდან, ბავშვის მოთხოვნილებების უგულებელყოფა მოხდება დაუმთავრებელი „მოუცლელობის" გამო, რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოახდენს გავლენას ბავშვის ფსიქო-ფიზიკურ განვითარებაზე და შესაბამისად, რამდენიმე სავარაუდო შედეგებს მივიღებთ, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

ფსიქოლოგთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ არსებობს მიჯაჭვულობის ოთხი სტილი და მისგან გამომდინარე განსხვავებული შედეგები: 1) მყარად მიჯაჭვული 2) განრიდებადი და 3) ამბივალენტური 4) დეზორგანიზებული.

მყარად მიჯაჭვულ სტილში, მოიაზრება ბავშვი და მშობელი, რომლებიც ჰარმონიაში არიან ერთმანეთთან. ბავშვს ჰყავს მასზე მზრუნველი და ძალიან ყურადღებიანი

მშობელი, რომელიც დროის დიდ ნაწილს მასთან ატარებს, მუდმივად გვერდში უდგას, ისინი მეგობრები არიან. ბავშვს მშობელთან კომუნიკაციის დროს აქვს უსაფრთოხების, ნდობის და კომფორტის განცდა, შესაბამისად იგი მშობლის ქცევის მიხედვით მიღებული სასიამოვნო გამოცდილება/შთაბეჭდილებებს ანზოგადებს სამყაროზე, რაც მის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დადებითად აისახება.

როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ბავშვობაში ვითარდება ადამიანის ბაზისური რწმენები და წარმოდგენები, დამოკიდებულებები და აღქმები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე მას თან მიჰყვება. სანდო მიჯაჭვულობა აყალიბებს ბავშვის ადექვატურ თვითშეფასებას და რწმენას, რომ სამყარო მის მიმართ კეთილგანწყობილია, იგი ურთიერთობაში არის თანამშრომლობითი,ლოიალური და აქვს ადამიანების ნდობა.

რაც შეეხება მიჯაჭვულობის განრიდებული სტილის მქონე ბავშვების, ასეთი ტიპის ბავშვებს მათ მშობლებთან არათანმიმდევრული კომუნიკაციის ტიპი აქვთ, ისინი მეტად დამოუკიდებლები არიან მშობლისგან, რადგან დედისგან ვერ იღებენ სათანადო თანაგრძნობას/ყურადღებას/უკუკავშირს ნებისმიერ თემაზე. მშობლები მისთვის ხშირად არიან ემოციურად მიუწვდომელნი, ამიტომაც ბავშვი ხშირად გულგრილი და ჩაკეტილია. როდესაც რაიმე აწუხებს ან სტკივა, ბავშვი ახლობელი ადამიანებისგან არ ითხოვს დახმარებას, რადგან, როგორც ფსიქოლოგი ამბობს, თავს არიდებს მორიგ იმედგაცრუებას მშობლის მხრიდან. ასეთი შვილის მშობელს არ მოსწონს მასზე დამოკიდებული შვილი, სურს რომ ბავშვი მისგან შორს იყოს, შესაბამისად, ნაკლებად უთმობს დროს და ყურადღებას. შედეგად, ხდება ისე, რომ ბავშვი შეიძლება იყოს აგრესიული, ბრაზიანი და დაუმორჩილებელი, ასეთ გარემოში აღზრდილი ბავშვი შეიძლება არ უყვარდეთ სააღმზრდელო/საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ასეთ ადგილებში ხშირად იყოს გარიყილი ბავშვების მიერ.

საინტერესოა, ამბივალენტური მიჯაჭვულობის შემთხვევაში მიღებული შედეგები, ასეთი მიჯაჭვულობის სტილის მქონე ბავშვი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ შეუძლია მშობლის ნდობა. მას ეშინია, რომ ნებისმიერი საფრთხის შემთხვევაში

შესაძლოა ვერ დაიცვას მშობელმა და ამასთან, ვერ მიიღოს მისგან თანაგრძნობა. მოკლედ რომ ითქვას, იგი მშობელში ვერ ხედავს მეგობარს, რის გამოც, ასეთი ბავშვი ბევრს ტირის და მომთხოვნია მის მიმართ.

რაც შეეხება დეზორგანიზებულ სტილს, ფსიქოლოგის განმარტებით, ეს არის ყველაზე სუსტი მიჯაჭვულობის ტიპი. ასეთ დროს ბავშვი ერთდროულად ავლენს ურთიერთსაწინააღმდეგო ქცევებს. მაგალითად, მას სავსებით შესაძლებელია, რომ მშობლის მიმართ ჰქონდეს ძლიერი განრიდების/ძლიერი ლტოლვის სურვილი, დისტრესი ან/და ბრაზის განცდა.

ვინაიდან დასაქმებულ მშობელს უჭირს სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები და შვილთან პოზიტიკური კომუნიკაცია დაამყაროს სამსახურის შემდგეგ, ასეთ დროს, ბავშვი შესაძლოა სანდოდ მიჯაჭვული არ აღმოჩნდეს და სამომავლოდ პრობლემა შეექმნას როგორც მის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ასევე ზრდასრულობისას, სოციალიზაციის მხრივადაც. ფსიქოლოგის თქმით, იმისათვის რომ ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე ვიზრუნოთ, აუცილებელია მშობლის მხირდან მუდმივი პოზიტიური კომუნიკაცია და გაზიარებული ემოციური მხარდაჭერა, რათა თავიდან ავიცილოთ შესაძლო გართულებები. (მაგ. მშობელზე შურისძიების სურვილი, დესტრუქციული სოციალური ურთიერთობები, სოციალური იზოლაციის რისკი, უარეს შემთხვევებში ძალადობა და სუიციდი.)

საუბრისას ფსიქოლოგის მხრიდან ასევე ხაზი გაესვა ე. მაკობისა და ჯ. მარტინის მიერ შემუშავებულ აღზრდის სტილების თეორიას და მის გავლენას ბავშვის ქცევაზე, რომელიც მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაციით არის დაბალანსებული. მისი თქმით, არსებობს ოთხი გავრცელებული აღზრდის სტილი:

- ✓ ავტორიტეტული;
- ✓ ავტორიტარული;
- ✓ ლიბერალური;
- ✓ ინდიფერენტული;

ავტორიტეტული მოდელი გულისხმობს მშობლის მხრიდან კონტროლის მაღალ დონეს და ამავდროულად თბილ ურთიერთობებს ბავშვთან, ამ დროს ფიზიკური დასჯა იშვიათად გამოიყენება. შედეგად, ასეთი ბავშვები გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით, მაღალი თვითშეფასებით და ა.შ.

ავტორიტარული სტილი გულისხმობს მშობლის მხრიდან მუდმივად მაღალ მოთხოვნებს, თუმცა ამავდროულად ნაკლებ ყურადღებას ბავშვის მოთხოვნების/საჭიროებების მიმართ. ასეთ დროს, მშობელი შვილისგან მოითხოვს უპირობო მორჩილებას და პატივისცემას, ყოველგვარი ახნა-განმარტების გარეშე. მსგავსს ოჯახში აღზრდილ ბავშვს უჭირს აკადემიური უნარების განვითარება, სოციალური ურთიერთობები, აქვს დაბალი თვითშეფასება. ზოგიერთი მათგანი გულჩათხრობილი და/ან აგრესიული ხდება.

ლიბერალური აღზრდის სტილი მოიაზრებს მშობლის მხრიდან ნაკლებ კონტროლსა და თბილ ურთიერთობებს. მსგავსს სიტუაციაში აღზრდილი ბავშვი ცუდად სწავლობს, არის აგრესიული, გაურბის პასუხისმგებლობას და ხშირ შემთხვევებში არის მესამე პირზე დამოკიდებული.

ინდიფერენტული აღზრდის სტილის დროს, ბავშვის მიმართ მშობლის კომუნიკაცია არის სუსტი. მშობლის მხრიდან ბავშვის ემოციური და ბაზისური მოთხოვნილებები უგულებელყოფილია. ასეთი ბავშვისთვის დამახასიათებელია: დაბალი თვითშეფასება, ანტისოციალური ქცევა, ასევე დაბალი აკადემიური მოსწრება.

ფსიქოლოგის მიერ ზემოთ მოხსენიებული თეორიები ცხადყოფს, რომ აუცილებელია მშობლის აქტიური ჩართულობა ბავშვის დაბადებიდან მისი პიროვნების ჩამოყალიბებამდე. მშობლის ჩართულობაში არ მოიაზრება მხოლოდ ბავშვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ამ ყველაფრით მოვალეობებისგან „ხელის დაბანა“. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში მშობლების უმეტესობა ენერგიის და დროის რესურსის უდიდეს ნაწილს დაქირავებულ შრომაში სწორედ ამისთვის ხარჯავს, შესაბამისად ნაკლებად რჩება

დრო ბავშვ(ებ)თან პირისპირი, ბუნებრივი კომუნიკაციისთვის, რაც ხელისშემშლელია შვილების ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის.

ჯგუფური ინტერვიუ

როგორც მეთოდოლოგიის ნაწილში აღინიშნა კვლევაში მონაწილეობა მიიღეს დასაქმებულმა დედებმა და მამებმა, რომელთაც ჰყავთ 10 წლამდე შვილ(ებ)ი და დასაქმებულები არიან ნახევარ/სრულ განაკვეთზე.

საუბრის დასაწყისში რესპონდენტებმა ისაუბრეს და გაიხსენეს მათი ბავშვობიდან კონკრეტული დეტალ(ებ)ი, ის რაც ყველაზე სწრაფად და კარგად გაახსენდებოდათ სიტყვა „ბავშვობის“ გაგონებაზე. მათ პასუხებში იგრძნობოდა 90-იანი წლების გავლენა, რესპონდენტების მოგონებებში დიდი ადგილი უკავია უშუქობის პერიოდს, სანთლის შუქზე მეცადინეობასა და ეზოს. ეზოს შემთხვევაში რესპონდენტები ხაზს უსვამდნენ, რომ გაცილებით საინტერესო ბავშვობა ქონდათ, ვინაიდან მათ ცხოვრებაში არ არსებობდა გაჯეტი, უმეტეს დროს ატარებდნენ თანატოლებთან ერთად, ეზოში, ე.წ „გარაჟების“ თავზე.

დაისვა კითხვა - რესპონდენტების ბავშვობაში დასაქმებულები იყვნენ თუ არა მათი მშობლები და ამ სტატუსის გამო უხდებოდათ თუ არა სახლში მარტო დარჩენა. საგულისხმოა, რომ დაშორებული მშობლების შემთხვევაში დედები აქტიურად იყვნენ დასაქმებულები, რათა უზრუნველყოთ შვილების კეთილდღეობა. დედების დასაქმების სტატუსი შედარებით ნაკლებია ისეთ ოჯახებში, სადაც მშობლები ერთად ცხოვრობდნენ. ეს ყველაფერი ძირითად შემთხვევებში უკავშირდება იმ სტერეოტიპულ აზრს, რომ დედები უმჯობესია იყვნენ სახლში და მოუარონ ბავშვებს, მიხედონ საოჯახო საქმეებს. ასევე, ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ოჯახის ფინანსურ შესაძლებლობას. თუ მამა დასაქმებული იყო და მისი შემოსავალი

სრულებით ყოფნიდა ოჯახს, დედების დასაქმება ამ შემთხვევაშიც ნაკლებად მიზანშეწონილად ითვლებოდა. ვინაიდან, რესპონდენტების ნაწილი ტრაციდიულ და არა-ნუკლეარულ ოჯახში გაიზარდა, მათ თითქმის არ უწევდათ სახლში მარტო დარჩენა, ვინაიდან მათთან ერთად უფროსი თაობაც ცხოვრობდა ოჯახში, იგულისხმება ბებია-ბაბუა.

ის რესპონდენტები, რომლებსაც ბავშვობის დიდი ნაწილი გატარებული აქვთ საქართველოს ფარგლებს გარეთ, აღნიშნავდნენ, რომ ძირითადად მამები მუშაობდნენ სრულ განაკვეთზე და ამ შემთხვევაში მთელი დღის გატარება უწევდათ დედასთან. თუმცა, იყვნენ რესპონდენტები, რომელთა დედებიც, მამების მსგავსად, დასაქმებულნი იყვნენ საზღვარგარეთ ნახევარ განაკვეთზე და თავად დარჩენა უწევდათ ძიძასთან. აღნიშნული ფაქტი იმ დროის საქართველოსთვის საკმაოდ უცხო იყო.

ხაზგასასმელია, რომ გამოკითხულ რესპონდეტთა უმეტესი ნაწილი ამჟამად ცხოვრობს ცალკე.

რესპონდეტთა უმრავლესობამ, როგორც დედებმა, ისე მამებმა ახსენეს, რომ ბავშვის გაჩენის დროს ჰქონდათ აქტიური სამსახური და ყველა შემთხვევაში მხოლოდ დედებმა ისარგებლეს დეკრეტული შვებულებით.

რადგან საუბრისას რესპონდენტები შეეხნენ დეკრეტულ შვებულებას, ინტერესი გამოიწვია მისმა ხანგრძლივობამ და ყველაზე მთავარმა - იყო თუ არა დეკრეტი ანაზღაურებადი. საჯარო სამსახურში დასაქმებული დედების დეკრეტული შვებულება ანაზღაურდა 6 თვის განმავლობაში და სოციალური სააგენტოს მიერ მოხდა დედების ერთჯერადი წახალისება 1 000 ლარის ოდენობით. კერძო სექტორში დასაქმებული დედების დეკრეტული შვებულების ანაზღაურების შემთხვევები ბევრად ნაკლები აღმოჩნდა. როგორც საუბრისას აღინიშნა, ეს საკითხი მთლიანად დამოკიდებულია დამსაქმებლის კეთილ ნებაზე, ასევე არის შემთხვევები, როდესაც

გარკვეული მიზეზების გამო არ/ვერ ხერხდება სამუშაო ადგილის „შენახვა“ და ხდება დეკრეტულ შვებულებაში მყოფი თანამშრომლის ჩანაცვლება:

„ჩემი თანამშრომლის რძალს, რომელიც იმყოფებოდა დეკრეტში, პირდაპირ უფროსმა დაურეკა და კითხა შენო როდის გამოდიხარო დეკრეტიდანო. ამ გოგომ უპასუხა, რომ 1 თვეა ბავშვი გავაჩინე და ჯერ ვერ გამოვალ თან ბუნებრივზე მყავსო. ხოდა უფროსის პასუხი იყო რო ან გამოდი ან მაშინ შენს ადგილას სხვა უნდა მოვიყვანოო“.(ქალი, 27 წლის)

იქედან გამომდინარე, რომ რესპონდენტები მუშაობენ სრული განაკვეთით, კვირაში 40 საათის განმავლობაში, ბავშვები ამ დრომდე იმყოფებიან ბაღში/სკოლაში/ძიძასთან. რამდენიმე მშობელმა საუბრისას ახსენა, რომ საჯარო სკოლა/ბაღების სამუშაო საათები ნაკლებად მოსახერხებელია მათთვის, ვინაიდან მათი სამუშაო დროის დასრულებამდე რამდენიმე საათით ადრე მთავრდება. ასეთ შემთხვევებში, მათ უწევთ დახმარების თხოვნა ოჯახის წევრებისთვის, ისეთი ადამიანის დაქირავება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბავშვის ბაღიდან/სკოლიდან გამოყვანაზე და მათი საჭიროებების უზრუნველყოფაზე, სანამ ერთ-ერთი მშობელი მაინც არ მივა სახლში. დისკუსიისას გაიჟღერა ასევე სასიამოვნოდ გასაკვირმა ალტერნატივამ: მშობლები, (მხოლოდ დედების შემთხვევაში) ახერხებდნენ, რომ სამუშაო საათების დასრულებამდე, შვილები ყოლოდათ სამსახურში. მათი გადმოცემით, ბაღის/სკოლის დასრულების შემდეგ სარგებლობდნენ კუთვნილი დასვენების საათით და ვინაიდან ბავშვების სააღმზრდელო დაწესებულებები მათ სამსახურთან ახლოსაა, მიყავდათ სამსახურებში. აღნიშნულ ქცევას მათი უშუალო/მატრიცული მენეჯერების გაღიზიანება არ გამოუწვევია. მათი თქმით, ამ ფაქტს მათი მხრიდან პოზიტიური შეფასებები/დამოკიდებულება მოყვა, რაც ნამდვილად მისასალმებელი ფაქტია. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებელი ამ შემთხვევაში არის როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულება.

ყოველდღიური სამუშაო რუტინის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ, როგორც მშობლებმა აღნიშნეს, ბავშვთან ატარებენ 3-4 საათს, რაშიც შედის ბაღში/სკოლაში წაყვანა, გამოყვანა (ასეთი შემთხვევები მათი თქმით, საკმაოდ ცოტაა), საოჯახო საქმეები (ვახშამი, მომდევნო დღის სადილის მომზადება) და ბავშვების მომზადება დასაძინებლად. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ბავშვთან გატარებულმა დრომ, იგულისხმება მხოლოდ მათთვის დათმობილი, პროდუქტიული დრო, შეიძლება შეადგინოს მხოლოდ 20-30 წუთი. თუმცა, ამ დანაკლისის ანაზღაურება ხდება შაბათ-კვირას, როცა მშობლების თქმით, მთელი დრო, ენერგია და რესურსი მხოლოდ ბავშვებს ხმარდება.

ასეთ დატვირთულ რეჟიმში, როგორც აღვნიშნე, რესპონდენტები ამბობენ, რომ რთულია ბავშვისთვის საკმარისი დროის გამოყოფა და მისი პროდუქტიული ათვისება, თუმცა ეს უფრო რთულდება თუ ოჯახში რამდენიმე ბავშვია. ასეთ შემთხვევებში, მშობლები აღიარებენ, რომ უფრო მეტი დრო ეთმობა უმცროს შვილს, რომელსაც ბუნებრივია მისი მდგომარეობიდან გამომდინარე უფრო მეტად ჭირდება მშობლის ჩართულობა, ვიდრე უფროს(ებ)ს. მხოლოდ ისეთი მშობლები ახერხებენ დროის თანაბარ გადანაწილებას, რომელთა შვილებს შორის 2-3 წლიანი სხვაობაა და საკმაოდ მარტივია მათთან საერთო ინტერესის თემებზე საუბარი/დისკუსია და ა.შ. ერთდროულად.

ბავშვის მოვლისა და აღზრდის საკითხებში დედები გულწრფელად აღიარებენ და ხაზს უსვამენ მამების ჩართულობას. დედების გადმოცემით, ხშირ შემთხვევაში გადანაწილებულია კონკრეტული საკითხები მშობლებს შორის. მაგალითად, მამებს დილით მიყავთ ბავშვები ბაღში/სკოლაში, დაწესებულია დაძინების მორიგეობა/გრაფიკი, გამოიკვეთა ბავშვის განსაკუთრებული სიყვარული მამის მიმართ, რომელიც მხოლოდ მამისგან ითხოვდა დახმარებას შხაპის მიღებისას:

„სესილიას უნდა რო მხოლოდ მამამ აბანავოს. 4 წლის ხდება და მე არ მახსოვს, რომ მე დამებანოს, გარდა ჩვილობის დროისა. ჩემი მეუღლეც ძაან უპრობლემოდ უსრულებს

ამ თხოვნას და ეს ჩემთვის უკვე ძალიან დიდი დახმარებაა. ყოველ საღამოს ვიცი, რო ჩემი მეუღლე დაბანს და მე დავაძინებ“ (ქალი, 29 წლის)

„ჩვენ მორიგეობა გვაქვს, ერთი დღე მე ვაძინებ ბავშვებს, მეორე დღეს ის. სახლის საქმეებში ნაკლებად მეხმარება, და ამ მხრივ მირჩევნია მე ვაკეთო ეს საქმე, მაგრამ ბავშვებიც ძილის წინ მოწესრიგებაში და რაღაც, კონკრეტულ დღეებში მათ დაძინებაში ძალიან მეხმარება“ (ქალი, 26 წლის)

„ჩემი ქმარი მაგალითად მარტო ალაგებს ბავშვის ოთახს და არავის გვიშვებს. გონია რო მისნაირად ვერავინ დაალაგებს ამ ოთახს. ესე იგი, მტვერსარუტს ალბათ 1 საათის განმავლობაში უსვამს, აწკრიალებს ხოლმე რასაც ქვია. ეს ნუ ხო ხვდებით ჩემთვის რამხელა შეღავათია“. (ქალი, 27 წლის)

დისკუსიისას მშობლებს ვთხოვეთ გადმოეცათ, თუ რას ნიშნავდა მათთვის თავისუფალი დრო. აღსანიშნავია, რომ დედები, რომლებსაც ყავთ 1 წლამდე შვილი აცხადებდნენ, რომ თავისუფალი დრო ასოცირდება მხოლოდ შვილთან და მასთან კომუნიკაციის/ურთიერთობის ანაზღაურებასთან. თუმცა, პასუხები იცვლება, რაც უფრო იზრდება ბავშვი. ამას შესაძლოა საფუძვლად უდევს დედების ემოციური და ფიზიკური გადაღლაც. ამ კატეგორიის დედები ამბობენ, რომ თავისუფალი დრო არის დრო, რომელიც არის მხოლოდ მათი. საათ(ებ)ი, როდესაც მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავენ და ფიქრობენ, მაგალითად, ეწევიან სპორტულ/ჯანსაღ ცხოვრების წესს: ცურავენ, დადიან სპორტ დარბაზში, სილამაზის სალონში, ან თუნდაც ყიდულობენ ახალ წიგნებს და კითხულობენ. თუმცა, ისეთ „თავისუფალ დროს“, როდესაც უწევთ ბავშვებთან ერთად ყოფნა, ძირითადად დაკავებულები არიან ისეთი აქტივობებით, რაც ბავშვებს აინტერესებთ. თუმცა, გამოიკვეთა კონკრეტული პასუხებიც, როდესაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ კითხვას, რაც ძირითადად ძილისპირული რუტინაა, „პაზლების“ აწყობას და ა.შ.

თავისუფალი დრო გამოკითხული მამების უმრავლესობისთვის არის დრო შვილებისთვის, როდესაც შეუძლიათ მათთან თამაში, სხვადასხვა თემებზე საუბარი. 1

წლამდე ბავშვების შემთხვევაში, კი მამების თავისუფალი დრო მოიაზრებს დედებისთვის უფრო აქტიურად დახმარებას/ჩართულობას ბავშვის მოვლის საკითხებში.

„თავისუფალი დრო, რავიცი, ბევრი რამის გაკეთება მინდა ხოლმე, მაგრამ ვერ ვასწრებ რა... ვეხმარები ჩემს მეულლეს, ძირითადად როდესაც ის უმცროსთანაა, მე უფროსს ვართობ რო არ მოიწყინოს, ანდა შეილება საერთოდ სახლიდანაც გამოვიყვანო რა დროებით... თუმცა სამუშაო დღეებში, უფროსი მიმყავს ბაღში და მერე სამსახურამდე ვასწრებ ბევრ წვრილმან საქმეს რა...“ (კაცი, 32 წლის)

მშობლები, როგორც დედები ასევე მამები, ერთხმად აღნიშნავენ ბავშვ(ებ)თან გატარებული დროის სიმცირეს, ასევე, მათი გადმოცემით, თავად ბავშვებსაც აქვთ ეს განცდა. ზოგი ბავშვი განსაკუთრებით მიკედლებულია ერთ-ერთ მშობელზე, უჭირს მშობელთან გატარებული შაბათ-კვირის შემდეგ ბაღში/სკოლაში დაბრუნება.[4]

„ჩემი შვილი სულ აღნიშნავს, რომ მეტი დრო უნდა რო დავუთმო. ცალკე ოთახი აქვს, ცალკე ძინავს, თუმცა კატეგორიულად მოითხოვა, რომ ეს მისი საწოლი ჩვენს ოთახში გადმოგვეტანა... ვერაფერს გავხდი, და დავთანხმდით...“ (ქალი, 33 წლის)

ზოგი ბავშვი მშობელთან ურთიერთობის ნაკლებობას გამოხატავს სიტყვიერად, ზოგიც კი კონკრეტული ქმედებით.

„ამ ბოლო დროს დავაკვირდი და სულ მთხოვს, რომ საჭმელი ვაჭმო მე. რომ ვკითხე, ბაღში როგორ ჭამ საჭმელსთქო, მეთვითონო. ძალიან გავბრაზდი პირველ ჯერზე, მერე ფსიქოლოგს ვკითხე და მან მითხრა, რომ ეს ყველაფერი ურთიერთობის ნაკლებობის ბრალია, უნდა რო მასთან ვიყო და ჩემი ხელით ვაჭამო... მერე აღარ გავბრაზებულვარ...“ (ქალი, 29 წლის)

მიუხედავად იმისა, რომ დასაქმებული მშობლები აღიარებენ შვილებთან გატარებული დროის ხანგრძლივობის სიმცირეს, მათი გადმოცემით, ცდილობენ ამ გატარებულ

[4] სკოლის შემთხვევაში იგულისხმება დაწყებითი კლასის ბავშვები

დროს ქონდეს კონკრეტული შედეგი, რაც მოიაზრებს არა მხოლოდ კონკრეტულ სათამაშო/საგანმანათლებლო აქტივობებს, არამედ აღზრდის ელემენტების შესახებ საუბარს. მშობლები ერთხმად აღიარებენ, რომ პირველ რიგში სურთ შვილებს ასწავლონ ჯანსაღი ურთიერთობები, ზრდილობა და შემდეგ სხვა დანარჩენი.

კითხვაზე, თუ როგორ უნდა დაბალანსდეს დრო ოჯახსა/შვილებსა და სამსახურს შორის, დედები აქცენტს მაინც აკეთებდნენ დამსაქმებელზე. მათი თქმით, სასურველია სამსახურს ქონდეს "work-life balance" პოლიტიკა, განსაკუთრებით იმ თანამშრომლებისთვის, რომელთაც ყავთ შვილები.

გამომდინარე იქედან, რომ საუბარია დასაქმებულ მშობლებზე, რათქმაუნდა, მათთვის არ არის გასაკვირი გულმავიწყობა და როგორ ფიზიკური, ასევე ემოციური გადაღლა/სტრესი. ამ ყველაფრის მიუხედავად, საუბრისას არც-ერთ მშობელს არ უთქვამს, რომ ოდესმე დავიწყებიათ ბავშვთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი დეტალი.[5] დასახელდა შემთხვევა, როდესაც დედამ სამსახურის გამო ვერ შეძლო ბავშვის ზეიმზე დასწრება.

„ერთხელ, სამსახურის გამო, ნუ მოხდა ისე, რო ვერ დავესწარი მის ზეიმს, ნუ აი ბავშვმა ეს გულში იმდენად ჩაიდო... სულ ახსოვს, დღემდე, 1 წელი გავიდა მაგის მერე და, ყველა ზეიმზე მეკითხება: დედა, შენ ვერ მოხვალ ხო?" (ქალი, 27 წლის)

დასაქმებული დედები საოჯახო საქმიანობისთვის ძირითადად იცლიან სამუშაო დღის ბოლოს, მაშინ როცა დააძინებენ ბავშვ(ებ)ს. ე.წ სახლის გენერალური დალაგება ყველა ოჯახისთვის, არის შაბათ-კვირას. თუ ოჯახს ყავს დამხმარე დიასახლისი, იგი რეგულარულად კვირაში 1-ელ ალაგებს მათ სახლს. თუმცა მსგავსი შემთხვევები კვლევის პროცესში ნაკლებად დაფიქსირდა.

[5] კითხვა ეხებოდა ბავშვებთან დაკავშირებულ მნიშნელოვანი საკითხების დავიწყებას, მაგ. დაბადების დღე, შეპირებული გასეირნება და ა.შ

დედები აღნიშნავენ, რომ მეუღლეები ძირითადად ეხმარებიან კონკრეტულ საქმიანობებში, მაგალითად: ჭურჭლის დარეცხვა ვახშამის შემდეგ, ოთახის გამოსუფთავება მტვერსასრუტით, ბავშვის სათამაშოების მილაგება და ა.შ. თუმცა გენერალურ დასუფთავებაში უმეტესი წილი საქმიანობის შესრულება მათ უწევთ.

საგულისხმოა, რომ მამები სრულ მზადყოფნას აცხადებენ დედების დახმარებაზე და მიაჩნიათ, რომ არც-ისე მცირე რესურსს დებენ საოჯახო საქმეების შესრულების მხრივ, თუმცა მამები აღიარებენ, რომ დედების წვლილი როგორც ბავშვებთან, ასევე საოჯახო საქმეების შესრულების კუთხით, ბევრად მეტია, ვიდრე მათი.

დასკვნები

კვლევის პროცესში და მონაცემის დამუშავების შემდეგაც გამოიკვეთა მნიშვნელოვანი შედეგები, რაც შეიძლება ჩაითვალოს კვლევის მიგნებად.

რესპონდენტი დედების მიერ ინიცრებული პრაქტიკები, როდესაც ბავშვები საგანმანათლებლო/სააღმზრდელო დაწესებულებებიდან მიჰყავდათ სამსახურში, მისასალმებელი ტრენდია და სხვა რესპონდენტების მხრიდან საკმაოდ პოზიტიურად შეფასდა. მოხდა შედარება მათ სამსახურებში არსებულ სიტუაციებთან და ხაზი გაესვა მენეჯმენტის კეთილ ნებასა და თანამშრომლებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებებს.

კვლევის პროცესში დასაქმებული მამების მხრიდან არ დასახელებულა შემთხვევა, როდესაც ბავშვი სააღმზრდელო/საგანმანათლებლო დაწესებულებიდან თავად საკუთარ სამსახურში მიეყვანათ სამუშაო დღის დასრულების დრომდე. მამების შემთხვევაში აღნიშნული ქმედებისთვის შესაბამისი სიტუაცია ან არ დამდგარა ან არსებობდა სხვა ალტერნატივა, რაშიც იგულისხმება ან მეუღლის მხრიდან

სამსახურიდან ადრე გამოსვლა ბავშვთან გამოსაყვანად, ან ოჯახის წევრის დახმარება ამ მიმართულებით.

კვლევის შედეგებიდან ნათელია, რომ შვილების აღზრდასა და განვითარებაში მამების როლი საგრძნობლად გაზრდილია და ეს მონაცემი ანგრევს გავრცელებულ სტერეოტიპს, რომ „ბავშვი მხოლოდ დედის მოსავლელია“. გამოკითხული დედებისა და მამების პასუხების საფუძველზე იკვეთება პოზიტიური ტრენდი, მათ შორის ფუნქციების გადანაწილების სამართლიანი და რელევანტური მეთოდები. ხაზგასასმელია მამების მონდომება, ინიციატივები და, შესაბამისად, რეალურად განხორციელებული ქმედებები ბავშვებთან მიმართებაში.

აუცილებლად ხაზგასასმელია თიბისი ბანკის პოლიტიკა დასაქმებული მშობლების მიმართ, რაც ნაშრომის კონკრეტული ნაწილში აღინიშნა. ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც დასაქმებულია აღნიშნულ ბანკში და ელოდება მეორე შვილს, ამბობს, რომ სამსახური მას უმყარებს მოტივაციას და სანდოობის/სტაბილურობის განცდას კომპანიის მიმართ, ვინაიდან უზრუნველყოფს მის ექვსთვიან ანაზღაურებად დეკრეტულ შვებულებას, გარანტირებულად უნახავს სამუშაო ადგილს. რესპონდეტმა ხაზი გაუსვა ბანკის სოლიდარობისა და მხარდაჭერის პოლიტიკას, რაც, როგორც აღვნიშნეთ, არის მატერიალური დახმარება მესამე და შემდგომ შვილზე და აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი შესაძლოა ნამდვილად გახდეს იმის საფუძველი/მაპროვოცირებელი, რომ თავად დაფიქრდეს მესამე და მომდევნო შვილის გაჩენაზე. ეს მაგალითი ცალსახად მიუთითებს თიბისი ბანკის მიერ ჩამოყალიბებული ფონდისა და მისი მიზნების ქმედითუნარიანობაზე.

მიუხედავად მამების როლისა და ჩართულობის ზრდისა ბოლო წლებში, კონკრეტულ შემთხვევებში დედების როლი მაინც დომინანტურია. კვლევის პროცესში, რესპონდენტებთან საუბრისას, ისმებოდა კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ ყველაფრის მიუხედავად, რომელი მშობელი „შრომობს მეტს“ ბავშვთან მიმართებაში. აღნიშნულ კითხვაზე ორივე სქესის რესპონდენტები, დედებიც და მამებიც,

აღნიშნავდნენ, რომ დედებს მაინც აქვთ თავიანთ თავზე აღებული მეტი პასუხისმგებლობები. ამ პასუხისმგებლობებში მოიაზრებდნენ ისეთ თემებს, როგორებიცაა ბავშვის საგანმანათლებლო/სპორტული აქტივობების დაგეგმვა, მათი მონიტორინგი, სამეგობრო დღესასწაულებში ჩართულობა და სხვა. მამები კი ხაზს უსვამდნენ დედების მხრიდან შვილების „გადამეტებულ სიყვარულს", რასაც დედის მიერ ორსულობა/მშობიარობის დროს გადატანილ ემოციებთან აკავშირებენ და აქვე აფასებდნენ დედების მიერ გაღებულ ყველა მსხვერპლს, როგორც ფიზიკურ,ასევე ემოციურ კონტექსტში, რაც დედობას წინ უსწრებს და შემდეგ მოყვება.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მშობლები, როგორც დედები, ასევე მამები, ადეკვატურად აფასებენ მათ კომუნიკაციის დონეს და ბავშვთან გატარებულ დროს - მათ რეალურად აქვთ შვილებთან კომუნიკაციის/ურთიერთობის დეფიციტი და სასურველია, დამსაქმებლის მხრიდან შემუშავდეს კონკრეტული პოლიტიკა, რაც საშუალებას მისცემს მშობლებს ჩვეულებრივზე მეტი დრო გაატარონ შვილებთან, სამუშაო დღეებში. მშობლისთვის სამსახურიდან ადრე გამოსვლა (რათქმაუნდა ბავშვთან დაკავშირებული მიზეზების გამო) არ უნდა იყოს დაკავშირებული სტრესთან და მის პროდუქტიულობის ნეგატიურად შეფასების საფუძველი.

ასევე, სასურველია, დამსაქმებლის მხრიდან განისაზღვროს კონკრეტული პოლიტიკა, რაც ნაშრომშიც არის მოხსენიებული, რათა თანამშრომლებს, განსაკუთრებით მშობლებს, არ შეექმნათ დისკომფორტი სამუშაო პროცესში, მაგალითად: მშობლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება შეხვედრების ჩანიშვნა ისეთ დროს, რომ „საფრთხე არ შეექმნას" მათ სამუშაოდან დროულად გამოსვლის საკითხს, რაც შემდგომ შესაძლოა გახდეს მშობლისთვის სტრესის საფუძველი, ვინაიდან ვერ მოახერხოს ბავშვ(ებ)თან დროულად მისვლა სააღზმრდელო/საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ასევე, რაც დასაქმებულ მშობლებს საკმაოდ დიდ პრობლემას უქმნის, ეს არის საჯარო და ცალკეული კერძო სააღმზრდელო/საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გრაფიკი. როგორც ითქვა, აღნიშნული დაწესებულებების და მშობლების სამუშაო საათები არ არის თანხვედრაში. სასურველია გადახედილ იქნეს ამ დაწესებულებების სამუშაო საათები და/ან შეთავაზებულ იქნეს დამატებითი აქტივობები/გახანგრძლივებული ჯგუფები მშობლებისთვის ხელსაყრელ დრომდე ან/და დამსაქმებლის მხრიდან მოხდეს ამ ყველაფრის დაბალანსება. აღნიშნული ფაქტი მშობლებისთვის ერთგვარი ხელშეწყობაა და კომპანიის მხრიდან მსგავსი ჟესტი საკმაოდ პოზიტიურად დაპოზიციონირდება, როგორც თანამშრომლებში, ასევე სხვა დამსაქმებლების თვალშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

(2010). Retrieved from www.matsne.gov.ge: https://www.matsne.gov.ge/sites/default/files/files/samartlebrivi_aqtebi/4113.pdf

ACAS. (2004).

Ashford, K. (2015). How The Children Of Working Moms Feel About Them Now. *www.forbes.com*.

Baxter, J. (March, 2010). *Parental Time with Children.* Australian Institute of Family Studies.

Beck, J. (2017, April 14). *How Some Companies Are Making Child Care Less Stressful for Their Employees.* Harvard Business Review.

Brown JE, B. D. (2010). *Do working mothers raise couch potato kids? Maternal employment and children's lifestyle behaviours and weight in early childhood.*

David Pelcovitz, P. D. (January 3, 2013). The research on the long-term impact of maternal employment.

(n.d.). *Fathers: balancing work and family.* Fatherhood Institute.

JR., T. H. (2015, january 9). *Fathers who spend time with their kids make happier employees.* Retrieved from fortune.com: http://fortune.com/2015/01/09/fathers-children-work/

Katherine W. Bauer, a. M.-S. (2012). *Parental employment and work-family stress: Associations with family food environments.*

Michael Yogman, C. F. (2016). *Fathers' Roles in the Care and Development of Their Children: The Role of Pediatricians.* American Academy of Pediatrics.

Miller, C. C. (Sept. 6, 2014). The Motherhood Penalty vs. the Fatherhood Bonus.

PATTEN, E. (2015). *How American parents balance work and family life when both work.*

Pena, S. (2017). Offering Child Care Benefits to Employees. *Creator*.

(2015). *Raising Kids and Running a Household: How Working Parents Share the Load.* Pew Research Center, Social & Demographic Trends.

Schafer RB, S. E. (1999). *Marital food interaction and dietary behavior.*

ssa.gov.ge. (n.d.). Retrieved from http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=375&fbclid=IwAR142vxATBDsmnvrd5mvpzSruiuWalaIkTo4I0DBmY1fWAmLPGKbRy8Nn2w

Williem Adema, C. C. (2016). *Working the tightrope: Background brief on parents' work-life balance across the stages of childhood.* OECD.

Working Mom vs Stay-At-Home Mom: What's Best for Kids? (November 12, 2013).

www.matsne.gov.ge. (n.d.). Retrieved from https://matsne.gov.ge/ka/document/view/3725416?publication=0&fbclid=IwAR3GuRgKFlVeFldL5EujX1TPjpFphAIjFERtXsNQkQV0Bro7C7mVQaNYiwo

ელენე ხაჭაპურიძე. (n.d.). Retrieved from netgazeti.ge: https://netgazeti.ge/news/287123/

თავართქილაძე, ე. (. (n.d.). *http://phf.org.ge/ka/*. Retrieved from http://phf.org.ge/ka/resources/mijachvuloba/

(n.d.). *თავი 1. ინტერპერსონალური კომუნიკაცია და მისი მნიშვნელობა მომსახურების სფეროს პროფესიებისთვის.*

იაგო კაჭკაჭიშვილი, ხ. ნ. (2014). *კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში.* თბილისი: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA).

მანანა ხარხელი, გ. მ. (2016). *დროის მენეჯმენტი.*

მარიამ ყანჩაველი. (2018, May). Retrieved from helloblog: https://www.helloblog.ge/story/8465315

(მარტი 27, 2019, March,2019). Retrieved from hrhub.ge: https://hrhub.ge/%E1%83%93%E1%83%A6%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A8/

ნობელი, კ. (2015). "ბავშვებისთვის უკეთესია, თუკი დედა დასაქმებულია". *Forbes.ge*, 10.07.

დანართი 1 - ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო

დასაქმებული მშობლების დროის მენეჯმენტი და შვილებთან კომუნიკაცია

თვისებრივი კვლევის გაიდი

მისალმება, კვლევის მიზნის გაცნობა, კონფიდენციალობის საკითხი, თავის წარდგენა:

- ✓ მოგესალმებით, მე გახლავართ მარიამ ჯაიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის სტუდენტი. ვატარებ თვისებრივ კვლევას თემაზე დასაქმებული მშობლების დროის მენეჯმენტი და შვილებთან კომუნიკაცია;
- ✓ ჩვენი საუბრის ჩაწერა მოხდება სპეციალური ხმის ჩამწერი მოწყობილობის მეშვეობით - ეს აუცილებელი პირობაა მონაცემების დამუშავების მხრივ, რათა გასაანალიზებლად ხელმისაწვდომი იყოს რაც შეიძლება მეტი მასალა.
- ✓ რათქმაუნდა, კვლევა არის კონფიდენციალური. მონაცემებში, ისევე როგორც საბოლოო რეპორტში, მონაწილეთა არა თუ სახელი და გვარი, არამედ არანაირი მაიდენტიფიცირებელი დეტალი არ იქნება მითითებული.

1. საუბრის დასაწყისი

- ✓ გთხოვთ, ორი სიტყვით მოგვიყვეთ თქვენს შესახებ, რა პროფესიის ბრძანდებით, რა ინტერესები გაქვთ და აშ.
- ✓ გთხოვთ, მოგვიყვეთ თქვენი ბავშვობის შესახებ დეტალები, ის რაც ყველაზე ძალიან გახსოვთ...
- ✓ დასაქმებულები იყვნენ თუ არა თქვენი მშობლები? როგორ გახსოვთ, ხშირად გიხდებოდათ სახლში მარტო დარჩენა, როდესაც მშობლები სამსახურში იყვნენ? იყო თუ არა ამ დროს ვინმე ოჯახის წევრი თქვენთან? რითი იყავით ამ დროს დაკავებული?
- ✓ გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენი მშობლებისა და თქვენი ურთიერთობის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტები...

2. დასაქმებული მშობლებისა და მათი შვილების კომუნიკაციის დონის განსაზღვრა

- ✓ რამდენი წლის იყო/იყვნენ თქვენი შვილი/შვილები, როდესაც დაიწყეთ/განაახლეთ მუშაობა?
- ✓ დღის/კვირის განმავლობაში რამდენი დღე/საათი მუშაობთ? რამდენად დამღლელი/სტრესული საქმე გაქვთ?
- ✓ ვისთან არის/არიან თქვენი შვილი/შვილები, სანამ თქვენ მუშაობთ? (ბებია-ბაბუა, ძიძა, ოჯახის ნათესავი, ბაღი) თქვენ სად უფრო გირჩევნიათ მისი/მათი დატოვება?
- ✓ დღის განმავლობაში დაახლოებით რამდენი საათი გაქვთ შვილთან/შვილებთან საკომუნიკაციოდ? ბაღში/სკოლაში თქვენ მიგყავთ/გამოგყავთ?
- ✓ კვირაში რამდენ დღეს უთმობთ მხოლოდ შვილს/შვილებს?
- ✓ (ერთზე მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში) როგორ ახერხებთ ბავშვებისთვის დროის მეტნაკლებად თანაბრად გადანაწილებას?
- ✓ **(დედების შემთხვევაში)** გთხოვთ, გვიამბოთ, რამდენად ჩართულია თქვენი მეუღლე ბავშვ(ებ)ის მოვლის/ზრუნვის საკითხებში? გაქვთ თუ არა გადანაწილებული ფუნქციები?
- ✓ **(მამების შემთხვევაში)** როგორ შეაფასებდით, რამდენად ხართ ჩართული ბავშვ(ებ)ის მოვლის/ზრუნვის საკითხებში? გაქვთ თუ არა გადანაწილებული ფუნქციები?

3. შვილთან/შვილებთან გატარებული დროის პროდუქტიულობის შეფასება

- ✓ რას ნიშნავს თქვენთვის თავისუფალი დრო? გულისხმობს თუ არა ის შვილთან/შვილებთან დროის გატარებას?
- ✓ როგორ გირჩევნიათ შვილთან თავისუფალი დროის გატარება? რა აქტივობებით ხართ დაკავებული? რას ანიჭებთ უპირატესობას : თამაშს თუ შემეცნებით/შემოქმედებით აქტივობებს?
- ✓ როგორ შეაფასებდით შვილთან გატარებულ დროს? ხომ არ გრჩებათ უკმარისობის შეგრძნება? არის თუ არა რაიმე, რაც განსაკუთრებით არ გყოფნით შვილთან ურთიერთობისას? (დადებითი პასუხის შემთხვევაში - რას ფიქრობთ, როგორ შეიძლება ამ ყველაფრის მოგვარება?)
- ✓ როგორ ფიქრობთ, შვილთან გატარებული დროის გათვალისწინებით, რა შეიძლება მან ისწავლოს თქვენგან?

4. კომუნიკაციის დეფიციტის შეფასება და ასეთის არსებობის შემთხვევაში როგორც მშობლების, ასევე შვილების ფსიქო-ემოციური განწყობის შესწავლა:

- ✓ ყოფილა თუ არა საღამო, როდესაც სახლში მისულს შვილი/შვილები დაძინებული დაგხვედრიათ? რამდენად ხშირია მსგავსი ფაქტები? რა განაპირობებს ამ ფაქტს?
- ✓ ოდესმე დაგვიწყებიათ თუ არა შვილთან/შვილებთან დაკავშირებული დეტალი? (მაგ: დაბადების დღე, ზეიმი, შეპირებული საჩუქარი?)
- ✓ როგორი ყოფილა ამ შემთხვევაში თქვენი და თქვენი შვილის/შვილების რეაქცია?

- ✓ გამოუხატავს თუ არა თქვენს შვილს/შვილებს უკმაყოფილება მათთან გატარებული დროის სიმცირეზე? გთხოვთ, მოყვეთ ისტორია. როგორია ამ დროს თქვენი რეაქცია? როგორც ცდილობთ მისი „იმედგაცრუების“ გამოსწორებას?
- ✓ როგორ შეაფასებდით, გაქვთ შვილთან/შვილებთან ურთიერთობის დეფიციტი? *დადებითი პასუხის შემთხვევაში* - პირველად როდის მიხვდით ამ ყველაფერს?
- ✓ როგორ გამოხატავენ შვილები თქვენთან ურთიერთობის დეფიციტს? როგორ გხვდებიან, როდესაც ბრუნდებით სამსახურიდან?
- ✓ გიფიქრიათ ამ ყველაფრის მოგვარების/შემსუბუქების გზებზე?

5. საოჯახო საქმეების ორგანიზება/შესრულება:

- ✓ როდის იცლით საოჯახო საქმიანობისთვის?
- ✓ გყავთ თუ არა ოჯახის დამხმარე დიასახლისი?
- ✓ გეხმარებათ თუ არა თქვენი მეუღლე საოჯახო საქმეების შესრულებაში? თუ შეგიძლიათ დაგვისახელოთ კონკრეტული შემთხვევები...

მადლობა კვლევაში მონაწილეობისთვის!

დანართი 2 - სატიტულო ფურცელი ინგლისურ ენაზე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Jaiani

The Time Management of Employed Parents and Communication with Their Children

Sociology

A thesis is submitted for the degree of Master of Sociology

Supervisor: *Iago Kachkachishvili, professor*

Tbilisi, 2019